





# ქიმიური უსაფრთხოების ტერმინების განმარტებითი ლექსიკონი

## GLOSSARY OF TERMS ON CHEMICAL SAFETY



თბილისი  
2017 წელი

## წინასწარმართვა

ქიმიური უსაფრთხოების განმარტებითი ლექსიკონი განკუთვნილია მათთვის, ვისაც შეხება აქვს ქიმიურ ნივთიერებებთან, ახორციელებს კონტროლს ქიმიური ნივთიერებების უსაფრთხო გამოყენებაზე, გეგმავს პროფილაქტიკურ ღონისძიებებს მათი მავნე ზემოქმედების თავიდან ასაცილებლად და ა.შ.. ლექსიკონი ძირითადად, გათვალისწინებულია ჯანდაცვის, სოფლის მეურნეობის, მრეწველობის, საზოგადოებრივი და გარემოს დაცვის სფეროში ქიმიური უსაფრთხოების საკითხებზე მომუშავეების, ტოქსიკოლოგების, ქიმიკოსებისა და სტუდენტებისათვის.

ლექსიკონი მომზადდა ნ. მახვილაძის სახ. შრომის მედიცინისა და ეკოლოგიის ს/კ ინსტიტუტის ქიმიური უსაფრთხოების ჯგუფის მიერ “პროფესიულ დაავადებათა პრევენცია” - სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ლ. საყვარელიძის სახ. დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის თანადგომით პროექტის „საშიში ქიმიური ნივთიერებების შესახებ საკანონმდებლო და სამოქმედო ჩარჩოების შემუშავება ინფორმაციის შეგროვებისა და გაზიარების მიზნით საქართველოში“ საფუძველზე, WHO CO, UBA, WHO ECE ფინანსური მხარდაჭერით.

წინამდებარე გამოცემა წარმოადგენს პირველ ქართულენოვან ლექსიკონს ქიმიური უსაფრთხოების საკითხებზე. იგი შედგენილია შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO), ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციისა (WHO) და ქიმიური უსაფრთხოების საერთაშორისო პროგრამის (IPCS) ერთობლივი პუბლიკაციის „GLOSSARY OF TERMS ON CHEMICAL SAFETY, 2004“, აგრეთვე, REACH, 2006; GHS/CLP, 2015 განმარტებებისა და აბრევიატურების საფუძველზე.

იმედია, ეს ნაშრომი სასარგებლო იქნება ფართო საზოგადოებისათვის და ხელს შეუწყობს ქვეყანაში ქიმიური ნივთიერებების უსაფრთხო გამოყენებას.

**ავტორთა ჯგუფი:** ინგა ღვინერია, ნანა გაბრიაძე, მანანა ჟურული, თამარ ონიანი, ვალერიან სააკაძე, რუსუდან ჯავახიძე, ირმა გურგულიანი, ავთანდილ დოლიძე, რიმა ბერიაშვილი

## INTRODUCTION

GLOSSARY OF TERMS ON CHEMICAL SAFETY is written to aid those who have frequent contact with chemicals, monitor their safe application, plan preventive activities to avoid their adverse effects, etc. The dictionary is mostly destined for the officials working on the issues of chemical safety at public health services, in main branches of industry and agriculture, in the spheres of public safety and environmental protection, as well as for the toxicologists, chemists, and students.

The dictionary was prepared by the group of chemical safety at N. Makhviladze Scientific-research Institute of Labor Medicine and Ecology in the frame of State Programme - "Prevention of Occupational Diseases", with the support of L. Sakvarelidze National Centre for Disease Control and Public Health, in the framework of the project "Development of Legislative and Operational Framework for Collection and Sharing Information on Hazardous Chemicals in Georgia", and the financial support provided by WHO CO, UBA, WHO ECE .

The publication represents the first Georgian dictionary regarding the issues of chemical safety. It was accomplished on the basis of the joint publication "GLOSSARY OF TERMS ON CHEMICAL SAFETY, 2004" of the International Labor Organization (ILO), the World Health Organization (WHO) and International Program of Chemical Safety (IPCS); Definition and abbreviation of REACH, 2006, GHS/CLP, 2015 have been used in preparation of the Glossary.

We greatly hope that the publication will be useful for the whole society and help to provide secure application of hazardous chemicals in Georgia.

**Group of Authors:** Inga Gvineria, Nana Gabriadze, Manana Juruli, Tamar Oniani, Valerian Saakadze, Rusudan Javakhadze, Irma Gurguliani, Avtandil Dolidze, Rima Beriashvili

## შესავალი

დღეისთვის, მთელ მსოფლიოში ქიმიური უსაფრთხოების უზრუნველყოფა და ქიმიური ზემოქმედების რისკის მინიმიზაცია მეტად აქტუალურია, რადგან ქიმიური ნივთიერებებით გამოწვეული დაავადებების ტვირთი გლობალურ კონტექსტში რჩება მრავალმხრივი განხილვისა და აქტივობის საგნად. ამ მიმართებით ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანას წარმოადგენს ქიმიური უსაფრთხოების საკითხებზე არსებულ მონაცემთა შეგროვება და ეკონომიკის სხვადასხვა სფეროსა და ქვეყნებს შორის ინფორმაციის გაცვლა, გამოცდილებისა და ცოდნის გაზიარება, საზოგადოების ცნობიერების ამაღლება.

ჯანმო-ს მონაცემებით, ქიმიური ნივთიერებები წარმოადგენს ნაადრევი სიკვდილიანობის 4,9 მლნ შემთხვევის (8,3 % საერთო რიცხვიდან) და 86 მლ „ჯანმრთელი ცხოვრების“ დაკარგული წლების მიზეზს.

საქართველოში გადახედვის პროცესშია ქიმიური უსაფრთხოების მარეგულირებელი ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზა, მიმდინარეობს ჰარმონიზაცია საერთაშორისო კანონმდებლობასთან, შეთანხმებებსა და ხელშეკრულებებთან, დაიწყო ტექნიკური რეგლამენტების შემუშავება გაერთიანებული ერების „ქიმიკატების კლასიფიკაციისა და ეტიკეტირების გლობალური ჰარმონიზებული სისტემისა (GHS)“ და ევროკავშირის „ნივთიერებებისა და ნარევების კლასიფიკაციის, ეტიკეტირებისა და შეფუთვის CLP რეგულაციის“ საფუძველზე.

ქიმიური უსაფრთხოების უზრუნველყოფის ეფექტურობა დიდად არის დამოკიდებული სპეციალისტების და ფართო საზოგადოების შესაბამის ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე. ამ მხრივ, ინფორმაციის თუ სამეცნიერო პუბლიკაციების ნაკადი ძირითადად თავმოყრილია ინგლისურენოვან წყაროებში.

აქედან გამომდინარე, ქიმიურ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საერთაშორისო ტერმინოლოგიის და მიდგომების ადაპტირება, ქართულენოვანი ლექსიკონის შედგენა წარმოადგენს ერთ-ერთ გადაუდებელ აუცილებლობას.

ქიმიური უსაფრთხოების ტერმინოლოგიის საფუძველი მრავალი სხვადასხვა წყაროა. იგი მოიცავს მედიცინას, ტოქსიკოლოგიას, ფარმაკოლოგიას, ეპიდემიოლოგიას, ეკოტოქსიკოლოგიას და მცენარეთა დაცვას. ტერმინოლოგია იხვეწება არათანმიმდევრულად, ხდება ერთი რომელიმე ტერმინის სხვადასხვა ტერმინებად გარდაქმნა, რომლებიც ზოგჯერ ენაცვლება ან წინააღმდეგობაშიც კი მოდის ერთმანეთთან. ყოველივე ეს სირთულეს ქმნის მათი სხვა ენებზე გადატანისას.

საერთაშორისო კომუნიკაციის გასაადვილებლად, წინამდებარე ლექსიკონში გამოყენებულია სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ აქამდე განსაზღვრული და ფორმულირებული ტერმინოლოგია. თუმცა, მეორე მხრივ, ეს ლექსიკონი არ არის არც სტატიკური, არც დამტკიცებული ტერმინოლოგიის ჩამონათვალი. მისი ფუნქციაა, გაუადავილოს მკითხველს ხშირად გამოყენებული ტერმინების განსაზღვრა.

ავტორები დიდ მადლობას მოახსენებენ განმარტებითი ლექსიკონის რეცენზენტებს პ.მელიქიშვილის სახ. ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის სამეცნიერო ხელმძღვანელს პროფ. ავთანდილ დოლიძეს და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორს, ქალბატონ რიმა ბერიაშვილს პრინციპული შენიშვნების, რჩევებისა და რეკომენდაციებისათვის.

ლექსიკონი დაზღვეული არ არის ხარვეზებისაგან. დამატებებსა და შენიშვნებს მადლიერებით მიიღებს ავტორთა ჯგუფი.

## ქიმიური უსაფრთხოების ტერმინების განმარტებითი ლექსიკონი

<b>1.</b>	<p><b>67/548 / EEC დირექტივის დანართი I:</b> 67/548 / EEC დირექტივის დანართი I შეიცავს ევროკავშირის ფარგლებში იურიდიულად სავალდებულო ნივთიერებების ან ნივთიერებების ჯგუფების ჰარმონიზებული კლასიფიკაციისა და ეტიკეტირების ნუსხას.</p>	<p><b>Annex I of Directive 67/548/EEC:</b> Annex I of Directive 67/548/EEC contains a list of harmonised classifications and labellings for substances or groups of substances, which are legally binding within the EU.</p>
<b>2.</b>	<p><b>ACGIH:</b> ამერიკის სამთავრობო სამრეწველო ჰიგიენისტთა კონფერენცია.</p>	<p><b>ACGIH:</b> American Conference of Government Industrial Hygienists</p>
<b>3.</b>	<p><b>CLP რეგულაცია:</b> ევროკავშირში GHS სისტემა განხორციელდა ნივთიერებებისა და ნარევების კლასიფიკაციის, ეტიკეტირებისა და შეფუთვის რეგულაციით (EC) No 1272/2008 („CLP რეგულაცია“), რომელიც შევიდა ძალაში 2009 წლის 9 იანვარს. CLP რეგულაციამ ჩაანაცვლა ნივთიერებების (Directive 67/548/EEC) და პროდუქტის (Directive 1999/45/EC) კლასიფიკაციის, ეტიკეტირებისა და შეფუთვის ადრინდელი წესები. GHS სტანდარტის შესაბამისად, CLP ახდენს საშიში ქიმიური ნივთიერებების იდენტიფიკაციას და ეტიკეტირების გზით აწარმოებს მომხმარებლებისთვის საფრთხის შეტყობინებას. იგი ასევე უზრუნველყოფს REACH რეგულირების მიხედვით უსაფრთხოების მონაცემების ფურცლების (SDS) შემუშავებას და ადგენს მოთხოვნებს საშიში ქიმიკატების შეფუთვაზე.</p>	<p><b>CLP Regulation:</b> The GHS has been implemented in the EU by Regulation (EC) No 1272/2008 on classification, labelling and packaging of substances and mixtures (“CLP Regulation”). The CLP Regulation entered into force on 20 January 2009. The CLP Regulation replaces previous rules on classification, labelling and packaging of substances (Directive 67/548/EEC) and preparations (Directive 1999/45/EC) after this transitional period.</p> <p>In line with the GHS standard, CLP allows for the identification of hazardous chemicals and the communication of these hazards to users through labelling. It also provides the basis for safety data sheets (SDS) regulated under the REACH Regulation, and sets requirements for the packaging of hazardous chemicals.</p>
<b>4.</b>	<p><b>CMRs:</b> (კანცეროგენული, მუტაგენური, ტოქსიკური რეპროდუქციისათვის) CMRs არის აბრევიატურა იმ ნივთიერებების/ნარევების, რომლებიც კლასიფიცირდებიან, როგორც კანცეროგენული, მუტაგენური ან ტოქსიკური რეპროდუქციისათვის.</p>	<p><b>CMRs:</b> are substances/mixtures that are classified as either Carcinogenic, Mutagenic or Reprotoxic.</p>
<b>5.</b>	<p><b>EC<sub>50</sub>:</b> ნიშნავს ნივთიერების ეფექტურ კონცენტრაციას, რომელზეც მიიღება მაქსიმალური ეფექტის 50%;</p>	<p><b>EC<sub>50</sub>:</b> means the effective concentration of a substance that causes 50 % of the maximum response.</p>
<b>6.</b>	<p><b>ES (ექსპოზიციის სცენარი):</b> დოკუმენტი, რომელიც ასახავს უსაფრთხო პირობებს ნივთიერების წარმოების და გამოყენების სასიცოცხლო ციკლის ყველა ეტაპზე.</p>	<p><b>ES (Exposure Scenario):</b> A document that outlines safe conditions for the manufacture and use of a substance during its life cycle.</p>

7.	<p><b>GHS:</b> არის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ შემუშავებული „ქიმიკატების კლასიფიკაციისა და ეტიკეტების გლობალური ჰარმონიზებული სისტემა“. GHS გლობალურ დონეზე უზრუნველყოფს საშიში ქიმიური ნივთიერებებისა და ნარევის ფიზიკური, ეკოლოგიური და ჯანმრთელობის უსაფრთხოების შესახებ ერთიან ჰარმონიზებულ ინფორმაციას. იგი განსაზღვრავს ქიმიური ნივთიერებების კლასიფიკაციის კრიტერიუმებს ქიმიური ნივთიერებებისა და ნარევის ფიზიკო-ქიმიური, ჯანმრთელობისა და გარემოსდაცვითი რისკების მიხედვით და ხელს უწყობს ქიმიური ნივთიერებების გლობალურ ვაჭრობას. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ 2002 წელს მიღებული GHS პერიოდულად ახლდება. მას მერე, რაც 2008 წელს GHS განხორციელდა ევროკავშირში, იგი გახდა ლიდერი GHS -ს შემდგომ განახლებაში.</p>	<p><b>GHS:</b> "Globally Harmonized System of Classification and Labelling of Chemicals" developed by the United Nations. GHS provides a harmonised basis for globally uniform physical, environmental, and health and safety information on hazardous chemical substances and mixtures. It sets up criteria for the classification of chemicals for physical-chemical, health, and environmental hazards of chemical substances and mixtures and sets up standardised hazard information to facilitate global trade of chemicals. GHS was adopted by the United Nations in 2002 and is periodically updated. The implementation of the GHS in the EU in 2008 makes the EU a front-runner in its uptake.</p>
8.	<p><b>LC:</b> ლეტალური კონცენტრაცია</p>	<p><b>LC:</b> Lethal Concentration.</p>
9.	<p><b>LC<sub>50</sub> (50% ლეტალური კონცენტრაცია):</b> ნიშნავს ქიმიური ნივთიერების კონცენტრაციას ჰაერში ან წყალში, რომელიც იწვევს საცდელი ცხოველების 50%-ის სიკვდილს.</p>	<p><b>LC<sub>50</sub> (50% lethal concentration):</b> means the concentration of a chemical in air or of a chemical in water which causes the death of 50% (one-half) of a group of test animals.</p>
10.	<p><b>LC<sub>50/96 hr</sub>:</b> ლეტალური კონცენტრაცია 96 საათიან ცდამი.</p>	<p><b>LC<sub>50/96 hr</sub>:</b> Lethal concentration in a 96-hour test.</p>
11.	<p><b>LD:</b> ლეტალური დოზა</p>	<p><b>LD:</b> Lethal dose.</p>
12.	<p><b>LD<sub>50</sub>:</b> ნიშნავს ქიმიური ნივთიერების ან ნარევის ერთჯერად დოზას, რომელიც იწვევს საცდელი ცხოველების 50%-ის სიკვდილს;</p>	<p><b>LD<sub>50</sub>:</b> means the amount of a chemical, given all at once, which causes the death of 50% (one half) of a group of test animals.</p>
13.	<p><b>LOAEL:</b> ექსპერიმენტში მიღებული უმცირესი დოზე, რომელზეც აღინიშნება მავნე ეფექტი.</p>	<p><b>LOAEL:</b> Lowest-Observed-Adverse-Effect-Level; the lowest dose in an experiment which produced an observable adverse effect.</p>
14.	<p><b>LOEL:</b> ექსპერიმენტში მიღებული უმცირესი დოზე, რომელზეც აღინიშნება ეფექტი.</p>	<p><b>LOEL:</b> Lowest-Observed-Effect-Level; the lowest dose in an experiment which produced an observable effect.</p>
15.	<p><b>NOAEL:</b> მაქსიმალური დოზა, რომელზეც არ აღინიშნება მავნე ეფექტი</p>	<p><b>NOAEL:</b> No-Observed-Adverse-Effect Level; the highest dose in an experiment which did not produce an observable adverse effect.</p>
16.	<p><b>NOEL:</b> დოზა ან ექსპოზიციის დონე, რომელზეც არ აღინიშნება ტოქსიკოლოგიურად მნიშვნელოვანი მავნე ეფექტი.</p>	<p><b>NOEL:</b> The dosage or exposure level at which no toxicologically significant adverse effect(s) can be detected.</p>



17.	<b>pH:</b> წყალბად-იონის კონცენტრაცია. გამოხატავს მასალის ტუტიანობას ან მჟავიანობას	<b>pH:</b> Hydrogen ion concentration; used to express the degree of acidity or alkalinity of a material.
18.	<b>p-სიდიდე:</b> ალბათობა იმისა, რომ გამოვლენილი განსხვავება შეიძლება შემთხვევითი იყოს, რაც გულისხმობს, რომ სინამდვილეში ასეთი განსხვავება არ არსებობს. თუ ალბათობა 20 შემთხვევაში 1-ზე ნაკლებია, მაშინ P-სიდიდე 0.05-ზე ნაკლებია. შედეგი, როდესაც P-სიდიდე 0.05-ზე ნაკლებია პირობითად ითვლება "სტატისტიკურად სარწმუნოდ".	<b>p-values:</b> The probability that an observed difference could have occurred by chance, assuming that there is in fact no underlying difference between the means of the observations. If the probability is less than 1 in 20, the P value is less than 0.05; a result with a P value of less than 0.05 is conventionally considered to be 'statistically significant'.
19.	<b>REACH რეგულაციის დანართი XIV:</b> ამ დანართში ჩამოთვლილია ყველა ნივთიერება, რომელიც ექვემდებარება REACH-ის მიხედვით ავტორიზაციას. XIV დანართში ჩამოთვლილი ნივთიერების გამოყენება და ბაზარზე განთავსება აკრძალულია "რეგისტრაციის ვადის" გასვლის შემდეგ, მანამ, სანამ მისი გამოყენების ნებართვა არ იქნება მიღებული.	<b>Annex XIV of REACH :</b> Annex XIV of REACH lists all substances which are subject to authorisation under REACH. The use and placing on the market for a use of substances listed on Annex XIV is prohibited from the "sunset" date unless an authorisation has been granted for that use.
20.	<b>REACH რეგულაციის დანართი XV:</b> აცალიბებს ზოგად პრინციპებს დანართი XV-ის დოსიეს მოსამზადებლად.	<b>Annex XV of the REACH regulation :</b> lays down general principles for preparing Annex XV dossiers.
21.	<b>REACH რეგულაციის მიხედვით დოსიე:</b> სარეგისტრაციო დოსიე, რომელიც საჭიროა ნივთიერების რეგისტრაციისათვის REACH ის მოთხოვნების შესაბამისად.	<b>REACH Dossier:</b> A registration dossier required for applicable substances under the REACH regulations.
22.	<b>REACH:</b> ქიმიკატების რეგისტრაცია, შეფასება და ავტორიზაცია. 2003 წლის 29 ოქტომბერს ევროკომისიამ მიიღო ევროკავშირის წინადადება ქიმიური ნივთიერებების ახალი მარეგულირებელი ჩარჩოს შექმნის შესახებ (COM (2003) 644). შემოთავაზებული ახალი სისტემის მიხედვით, REACH (ქიმიური ნივთიერებების რეგისტრაცია, შეფასება და ავტორიზაცია), საწარმოები, რომლებიც წელიწადში აწარმოებენ ერთ ტონაზე მეტ ქიმიურ ნივთიერებას საჭიროებენ მის რეგისტრაციას მონაცემთა ცენტრალურ ბაზაში. შემოთავაზებული ახალი რეგულაციის მიზანია გააუმჯობესოს ადამიანის ჯანმრთელობისა და გარემოს დაცვა, კონკურენციის შენარჩუნებისა და ევროკავშირის ქიმიური მრეწველობის ინოვაციური შესაძლებლობების გაძლიერებით. REACH რეგულაცია უფრო მეტ პასუხისმგებლობას აკისრებს მრეწველობას ქიმიკატებით გამოწვეული რისკების მართვისა და უსაფრთხო მოხმარების შესახებ ინფორმაციის მიწოდების საკითხებში.	<b>REACH:</b> Registration, Evaluation and Authorisation of Chemicals. On 29 October 2003, the European Commission adopted a proposal for a new EU regulatory framework for chemicals, COM (2003) 644. Under the proposed new system called REACH (Registration, Evaluation and Authorisation of CHemicals), enterprises that manufacture or import more than one tonne of a chemical substance per year would be required to register it in a central database. The aims of the proposed new Regulation are to improve the protection of human health and the environment while maintaining the competitiveness and enhancing the innovative capability of the EU chemicals industry. REACH would furthermore give greater responsibility to industry to manage the risks from chemicals and to provide safety information on the substances.
23.	<b>TLV (ზღვრული ზღურბლოვანი კონცენტრაცია):</b> არის ჰაერში პოტენციურად ტოქსიკური ნივთიერებების რეფერენტული მნიშვნელობა	<b>TLV (Threshold limit value):</b> This is a guideline value defined by the by the American Conference of Government Industrial

	<p>ჯანმრთელი დასაქმებულისათვის უსაფრთხო 40-საათიანი სამუშაო კვირის მუშაობისას და მთელი ცხოვრების განმავლობაში, რომელსაც ადგენს ამერიკის სამთავრობო სამრეწველო ჰიგიენისტების კონფერენცია. ეს კონცენტრაცია განსაზღვრავს დროში შენონილ საშუალო კონცენტრაციას. მას არა აქვს სამართლებრივი სტანდარტის ძალა. იგი განიხილება, როგორც რეკომენდაცია ჯანმრთელობის მდგომარეობის გასაკონტროლებლად.</p>	<p>Hygienists to establish the airborne concentration of a potentially toxic substance to which it is believed that healthy working adults may be exposed safely through a 40 hour working week and a full working life. This concentration is measured as a time-weighted average concentration. They are developed only as a guidelines to assist in the control of health hazards and are not developed for use as legal standards.</p>
24.	<p><b>TLV-STEL:</b> ზღვრული ზღვრბლოვანი კონცენტრაცია – მოკლევადიანი ექსპოზიცია (15-წუთიანი), რომელიც არ შეიძლება განმეორდეს დღეში 4-ჯერ მეტად, ექსპოზიციებს შორის მინიმუმ 60 წუთის პერიოდში.</p>	<p><b>TLV-STEL:</b> Threshold limit value –Short-term exposure, spot exposure for a duration of 15 minutes, that cannot be repeated more than 4 times per day with at least 60 minutes between exposure periods</p>
25.	<p><b>TLV-TWA:</b> ზღვრული ზღვრბლოვანი კონცენტრაცია–საშუალო ცვლური. ექსპოზიციის საშუალო ცვლური კონცენტრაცია 8 საათიანი სამუშაო დღის, 40 საათიანი სამუშაო კვირის განმავლობაში.</p>	<p><b>TLV-TWA:</b> Threshold limit value – Time weighted average: average exposure on the basis of a 8h/day, 40h/week work schedule</p>
26.	<p><b>აალებადი აირი:</b> აირი, რომელიც 20° C და ნორმალური წნევის 101,3 კპა პირობებში ჰაერთან შერევისას ალდება.</p>	<p><b>Flammable gas:</b> means a gas having a flammable range with air at 20°C and a standard pressure of 101.3kPa.</p>
27.	<p><b>აალებადი მყარი ნივთიერება, ნარევი:</b> მყარი ნივთიერება ან ნარევი, რომელიც ადვილად ალდება; ან მყარი ნივთიერება, რომელიც ხახუნის ან დარტყმის შედეგად ალდება ან აძლიერებს ალს. Flammable solid means a solid which is readily combustible, or may cause or contribute to fire through friction.</p>	<p><b>Flammable solid:</b> means a solid which is readily combustible, or may cause or contribute to fire through friction.</p>
28.	<p><b>აალებადი სითხე:</b> სითხე, რომლის აფეთქების წერტილი 93°C -ზე ნაკლებია.</p>	<p><b>Flammable liquid:</b> means a liquid having a flash point of not more than 93°C.</p>
29.	<p><b>აალების წერტილი:</b> ნივთიერების აალებისათვის საჭირო მინიმალური ტემპერატურა (ნორმალური წნევის 101.3 კპა პირობებში), რომელზეც გამოცდის განსაზღვრულ პირობებში ანთების წყაროსთან შეხება იწვევს სითხისაგან აალებადი ორთქლის წარმოქმნას.</p>	<p><b>Flash point:</b> means the lowest temperature (corrected to a standard pressure of 101.3 kPa) at which the application of an ignition source causes the vapors of a liquid to ignite under specified test conditions.</p>
30.	<p><b>აბიოტური ტრანსფორმაცია:</b> გარემოში მყოფი ქიმიური ნივთიერების არაბიოლოგიური მექანიზმით გარდაქმნის ნებისმიერი პროცესი (იხ. აგრეთვე ბიოტრანსფორმაცია) (WHO, 1979).</p>	<p><b>Abiotic transformation:</b> Any process in which a chemical in the environment is modified by non-biological mechanisms (see also biotransformation) (WHO, 1979).</p>
31.	<p><b>აბიოტური:</b> ტერმინი, რომელიც აღწერს ყველაფერს, რაც არაცოცხალ ბუნებას ახასიათებს, ან რაც სიცოცხლესთან შეუთავსებადი. ტოქსიკოლოგიაში და ეკოტოქსიკოლოგიაში ეს ტერმინი ეხება ფიზიკურ (მაგ. სითბო, მზის გამოსხივება) ან ქიმიურ პროცესებს (მაგ. ჰიდროლიზი), რომლებსაც შეუძლია ქიმიური სტრუქტურის მოდიფიცირება.</p>	<p><b>Abiotic:</b> This is a term used to describe anything which is characterized by the absence of life or incompatible with life. In toxicology and ecotoxicology it refers to physical (e.g. heat, sunlight) or chemical processes (e.g. hydrolysis) that are capable of modifying chemical structures.</p>



32.	<p><b>აბსორბცია (კოლოიდურ და ზოგად ქიმიში):</b> ნივთიერების ან აირის შთანთქმა სითხის ან მყარი სხეულის მიერ. 1. პროცესი, რომლის დროსაც, ორი ფაზის ურთიერთშეხებისას, მოცემული კომპონენტი გადადის ერთი ფაზიდან სხვა ფაზაში (IUPAC, 1972). ექსპერიმენტული დიფერენციაცია აბსორბციასა და ადსორბციას (q.v.) შორის ხანდახან რთულია. ზოგჯერ ორი პროცესი ერთდროულად მიმდინარეობს; ასეთ შემთხვევაში გამოიყენება ტერმინი „სორბცია“ (WHO, 1979).</p>	<p><b>Absorption (in colloid and surface chemistry):</b> A process whereby, when two phases are brought into contact, a given component is transferred from one phase to the other (after IUPAC, 1972). Experimental differentiation of absorption and adsorption (q.v.) may be difficult, and sometimes the two processes occur simultaneously; in such cases the term „sorption“ is used (WHO, 1979).</p>
33.	<p><b>აბსორბცია (რადიაციაში):</b> სხეულზე გადაცემული მათონებელი რადიაციის ენერჯის ნაწილობრივ ან მთლიანად შთანთქმის პროცესი (ISO, 1972).</p>	<p><b>Absorption (in radiation):</b> A phenomenon in which radiation transfers to matter which it traverses some or all of its energy (ISO, 1972).</p>
34.	<p><b>ადსორბცია:</b> სითხის ან მყარი სხეულის ზედაპირული შრის მიერ აირიდან ან ხსნარიდან რაიმე ნივთიერების შთანთქმა. (IUPAC, 1972).</p>	<p><b>Adsorption:</b> A process whereby one or more components of an interfacial layer between two bulk phases are either enriched or depleted (IUPAC, 1972).</p>
35.	<p><b>აეროდინამიკური დიამეტრი ნაწილაკის:</b> სიმკვრივის ერთეულში გამოხატული სფერული ნაწილაკის დიამეტრი, რომელიც ისეთივე სიჩქარით იღვქება ჰაერში, როგორც განსახილველი ნაწილაკი (IAEA, 1978).</p>	<p><b>aerodynamic diameter of a particle:</b> The diameter of a spherical particle of unit density that has the same settling velocity in air as the particle in question (IAEA, 1978).</p>
36.	<p><b>აეროზოლები:</b> აირისმაგვარ მდგომარეობაში მყოფი მტვრის ან წყლის ნაწილაკები. აეროზოლების მაღალი კონცენტრაცია ამცირებს მზის სხივების გატარებას. ანთროპოგენური წარმოშობის აეროზოლები მონაწილეობს ე.წ. „სმოგის“ წარმოქმნაში.</p>	<p><b>Aerosols:</b> Dust or water particles that are in a state of gas. High concentrations of aerosols reduce transferring of sun rays. Anthropogenic aerosols participate in a formation of the so-called “smog”.</p>
37.	<p><b>აეროზოლური შეფუთვა (ნივთიერებების და ნარევების):</b> ნიშნავს ლითონის, მინის ან პლასტმასისგან დამზადებულ ერთჯერად კონტეინერს, რომელიც შეიძლება შეიცავდეს კომპრესირებულ, წნევის ქვეშ გათხევადებულ ან გახსნილ აირს სითხის, პასტის ან ფხვნილის თანხლებით, ან მათ გარეშე, აღჭურვილს ისეთი მონყობილობით, რომლის საშუალებითაც ხდება აირში შეწონილი მყარი ან თხევადი ნაწილაკების გაფრქვევა ქაფის, პასტის ან ფხვნილის სახით, თხევად ან აირისებრ მდგომარეობაში. აეროზოლი შეიცავს აეროზოლურ გამფრქვეველს.</p>	<p><b>Aerosol packaging (substances and mixture):</b> means any non-refillable receptacles made of metal, glass or plastics and containing a gas compressed, liquefied or dissolved under pressure, with or without a liquid, paste or powder, and fitted with a release device allowing the contents to be ejected as solid or liquid particles in suspension in a gas, as a foam, paste or powder or in a liquid state or in a gaseous state. Aerosol includes aerosol dispensers.</p>
38.	<p><b>ავადობა:</b> ნებისმიერი სუბიექტური თუ ობიექტური გადახრა ფიზიოლოგიური ან ფსიქოლოგიური კეთილდღეობის სანყისი მდგომარეობიდან. ამ თვალსაზრისით, ავადმყოფობა, დაავადება და ავადმყოფური მდგომარეობა ერთნაირად განიშარტება და სინონიმურია (Last, 1988).</p>	<p><b>Morbidity:</b> Any departure, subjective or objective, from a state of physiological or psychological well-being. In this sense, sickness, illness, and morbid condition are similarly defined and synonymous (Last, 1988).</p>

39.	<b>ავადობის კვლევა:</b> მოსახლეობის ავადობის ან მოსახლეობაში დაავადების გავრცელების ან/და სიხშირის შესაფასებელი მეთოდი. ჩვეულებრივ, ავადობის კვლევის დანიშნულებაა უბრალოდ დაავადების გავრცელების ფაქტების გამოვლენა და არა ჰიპოთეზის შემოწმება (Last, 1988).	<b>Morbidity survey:</b> A method for the estimation of the prevalence and/or incidence of disease or diseases in a population. A morbidity survey is usually designed simply to ascertain the facts as to disease distribution, and not to test a hypothesis (Last, 1988).
40.	<b>ავადობის მაჩვენებელი (კოეფიციენტი):</b> კონკრეტულ დროს (ან კონკრეტულ პერიოდში) (დაავადების ახლად დიაგნოსტირებული შემთხვევების რაოდენობა) / (მოსახლეობის რაოდენობა) მოცემულ მომენტში ან შუალედურ პერიოდში (Last, 1988).	<b>Prevalence rate (ratio):</b> The total number of individuals who have an attribute or disease at a particular time (or during a particular period) divided by the population at risk of having the attribute or disease at this point in time or midway through the period (Last, 1988).
41.	<b>ავთვისებიანი:</b> ზედსართავი, რომელიც ასახავს უჯრედების სიმსივნურ ზრდას.	<b>Malignant:</b> Adjective describing cells in a cancerous growth.
42.	<b>ავტორიზაცია:</b> REACH რეგულაცია ადგენს სისტემას, რომლის მიხედვითაც ძალიან მაღალი საფრთხის მქონე ნივთიერების გამოყენება და განთავსება ბაზარზე შეიძლება განხორციელდეს ავტორიზაციის მოთხოვნის საფუძველზე. ავტორიზაციის ეს მოთხოვნა იძლევა გარანტიას, რომ ასეთი ნივთიერების გამოყენების რისკი ან ადეკვატურად კონტროლირდება, ან გადაიწონება სოციალურ-ეკონომიკური სარგებლით, ალტერნატიული ნივთიერებების ან ტექნოლოგიების შესახებ არსებული ინფორმაციის გათვალისწინებით. ნივთიერება, რომელიც საჭიროებს ავტორიზაციას რეგლამენტის XIV დანართში იქნება ჩართული.	<b>Authorisation:</b> The REACH Regulation sets up a system under which the use of substances with properties of very high concern and their placing on the market can be made subject to an authorisation requirement. This authorisation requirement ensures that risks from the use of such substances are either adequately controlled or outweighed by socio-economic benefits, having taken into account the available information on alternative substances or technologies. Substances requiring authorisation will be included in Annex XIV of the Regulation.
43.	<b>აზბესტოზი:</b> აზბესტის ბოჭკოების შესუნთქვით გამოწვეული ფილტვების დაზიანება.	<b>Asbestosis:</b> The damage to the the lungs caused specifically by exposure to, and inhalation of, asbestos fibres.
44.	<b>აირი გახსნილი:</b> გახსნილი აირი ნიშნავს აირს, რომელიც წნევის ქვეშ შეფუთვისას იხსნება თხევადი ფაზის ხსნარის სახით.	<b>Gas dissolved:</b> means a gas which when packaged under pressure is dissolved in a liquid phase solvent.
45.	<b>აირი:</b> აირი არის ნივთიერება, რომელსაც 50 °C -ზე გააჩნია 300 კპა-ზე მეტი აორთქლების წნევა; ან 20 °C -ზე და ნორმალური წნევის 101.3კპა პირობებში მთლიანად აიროვან მდგომარეობაშია.	<b>Gas:</b> means a substance which (i) at 50 °C has a vapor pressure greater than 300 kPa; or (ii) is completely gaseous at 20 °C at a standard pressure of 101.3 kPa.
46.	<b>აკუმულაცია:</b> ბიოლოგიურ ობიექტზე (სამიზნე ორგანო, ორგანიზმი, ან გარემოს ობიექტი) ნივთიერების განმეორებითი მოქმედების შედეგად ამ ობიექტში ნივთიერების კონცენტრაციის მატება.	<b>Accumulation:</b> Successive additions of a substance to a target organism, or organ, or to part of the environment, resulting in an increasing quantity or concentration of the substance in the organism, organ, or environment.
47.	<b>ალერგენი:</b> ნებისმიერი ნივთიერება, რომელიც იწვევს ალერგიულ რეაქციას.	<b>Allergen:</b> any substance which produces an allergic reaction.
48.	<b>ალერგია:</b> ფართო ტერმინი, რომელიც გამოიყენება დაავადების გამომწვევ გარკვეულ გამაღიზიანებელზე, ზოგიერთი წამლის ან საჭმლის და სხვ. მიღებისას ორგანიზმის საპასუხო რეაქციის აღსანიშნავად. არსებითად, ეს არის იმუნური სისტემის გაუმართაობა. იხილეთ სენსიტიზაცია.	<b>Allergy:</b> A broad term applied to disease symptoms following exposure to a previously encountered substance (allergen), often one which would otherwise be classified as harmless. Essentially it is a malfunction of the immune system. See sensitization.

49.	<b>ანალიზი:</b> საშიში ქიმიური ნივთიერების რაოდენობრივი და ხარისხობრივი შეფასება (Last, 1988).	<b>Assay:</b> The quantitative or quantitative evaluation of a hazardous substance; (Last, 1988).
50.	<b>ანაფილაქსია:</b> სერიოზული ალერგიული რეაქცია, რომელიც სწრაფად ვითარდება და შეუძლია გამოიწვიოს სიკვდილი.	<b>Anaphylaxis:</b> is a serious allergic reaction that is rapid in onset and may cause death.
51.	<b>ანემია, სისხლნაკლებობა:</b> ერთითროციტების და ჰემოგლობინის რაოდენობის პათოლოგიური შემცირება.	<b>Anemia, also spelled anaemia:</b> is usually defined as a decrease in the total amount of red blood cells (RBCs) or hemoglobin in the blood.
52.	<b>ანთების წერტილი:</b> სითხეების მიერ აალებადი აირების გამოყოფის მინიმალური ტემპერატურა;	<b>Inflammation point:</b> the lowest temperature at which the liquid emit flammable gases;
53.	<b>ანტიგენი:</b> მავნე ნივთიერება, რომელიც აიძულებს ორგანიზმს ანტისხეულების წარმოქმნას, მისი მავნე მოქმედების გასაჩივრებლად.	<b>Antigen:</b> a harmful substance that causes the body to produce antibodies.
54.	<b>ანტიდოტი:</b> საწინააღმდეგო საშუალება.	<b>Antidote:</b> a substance that stops the harmful effects of a poison
55.	<b>ანტიოქსიდანტები, ანტიდამუხანგველები:</b> ქიმიური ნივთიერებები (ტოქსოფეროლი, იონოლი), რომლებიც ანელებენ ან ხელს უშლიან ჟანგვით პროცესებს. დაჟანგვა (ოქსიდაცია) არის თავისუფალი რადიკალების წარმოქმნის ქიმიური რეაქცია, რომლის შედეგად ხდება უჯრედების დაზიანება ჯაჭვური რეაქციით.	<b>Antioxidants:</b> is a chemicals (toxopherole, ionole) that inhibits the oxidation of other molecules. Oxidation is a chemical reaction that can produce free radicals, leading to chain reaction that may damage cells.
56.	<b>ანტისეპტიკი:</b> ნივთიერება, რომელიც თრგუნავს მიკროორგანიზმების გამრავლებას და განვითარებას.	<b>Antiseptics:</b> is a substance which inhibits the growth and development of microorganisms.
57.	<b>ანტისხეულები:</b> ორგანიზმში შეღწეული ანტიგენების საპასუხოდ დაავადებასთან საბრძოლველად წარმოქმნილი ცილოვანი ნივთიერებები.	<b>Antibodies:</b> a proteinous substance produced by the body to fight disease.
58.	<b>აპლიკაცია:</b> ქიმიური ნივთიერებების კანზე დატანა.	<b>Application:</b> affixation of chemicals on the skin
59.	<b>არაპირდაპირი შედარება:</b> ანალიზი, რომელიც ადარებს ინტერვენციებს, რომელთა პირდაპირი შედარება არ მომხდარა რანდომიზებული კვლევის მეშვეობით.	<b>Indirect comparison:</b> An analysis that compares interventions that have not been compared directly within a head-to-head, randomised trial.
60.	<b>ასპირაცია:</b> ასპირაცია ნიშნავს უშუალოდ პირის ან ცხვირის ღრუდან, ან არაპირდაპირი გზით - პირღებინებისას ტრაქეაში ან ქვედა სასუნთქ გზებში თხევადი ან მყარი ქიმიური ნივთიერების ან ნარევის შეღწევას.	<b>Aspiration:</b> means the entry of a liquid or solid chemical product into the trachea and lower respiratory system directly through the oral or nasal cavity, or indirectly from vomiting;
61.	<b>ატროფია:</b> ქსოვილის ან ორგანოს განლევის პროცესი.	<b>Atrophy:</b> is the partial or complete wasting away of a part of the body.
62.	<b>აფეთქების ქვედა ზღვარი:</b> გარემოს ნორმალურ ტემპერატურულ რეჟიმში აირის ან ორთქლის აალების ქვედა ზღვარი, გამოხატული აირის ან ორთქლის პროცენტული შემცველობით ჰაერის მოცულობაში. ეს ზღვარი ითვლება მუდმივად 130 °C ტემპერატურამდე.	<b>Lower Explosive Limit (LEL):</b> The lower limit of flammability of a gas or vapour at normal ambient temperatures expressed as percentage of the gas or vapour in air by volume. This limit is assumed constant for temperatures up to 130°C.
63.	<b>აღმოჩენის ზღვარი (პესტიციდების ნარჩენების):</b>	<b>Limit of determination (pesticide residue):</b> The

	ანალიზის მეთოდის აღმოჩენის ზღვარი არის პესტიციდების ნარჩენების ყველაზე მცირე კონცენტრაცია, რომელიც შეიძლება რაოდენობრივად სარწმუნოდ გაიზომოს მითითებულ პროდუქციაში (WHO, 1976).	limit of determination of a method of analysis is the lowest concentration of a pesticide residue that can be quantitatively measured in the specified commodity with an acceptable degree of certainty (WHO, 1976).
64.	<b>ახალი ქიმიური ნივთიერებები:</b> ბაზარზე 1981 წლიდან განთავსებული ქიმიური ნივთიერებები. ევროკავშირის ქიმიური კანონმდებლობის შესაბამისად მათ შესახებ უნდა ეცნობოს კომპეტენტურ ორგანოებს (იხ. კომპეტენტური ორგანო). ამჟამად ბაზარზე დაახლოებით 3,400 "ახალი" ქიმიური ნივთიერებაა.	<b>New chemicals:</b> Chemicals that have been placed on the market since 1981. These have to be notified to the Competent Authorities under the current EU chemical legislation. There are around 3,400 'new' chemicals currently on the market.
65.	<b>ბაზარზე განთავსება:</b> ნიშნავს გადახდის სანაცვლოდ ან უსასყიდლოდ მესამე მხარისთვის მიწოდებას ან მიღებას. იმპორტი ჩაითვლება ბაზარზე განთავსებად.	<b>Placing on the market:</b> means supplying or making available, whether in return for payment or free of charge, to a third party. Import shall be deemed to be placing on the market.
66.	<b>ბიოაკუმულაცია:</b> პროცესი, როცა ნივთიერების რაოდენობა ცოცხალ ორგანიზმში (ან მის ნაწილში) მატულობს დროის განმავლობაში (WHO, 1979).	<b>Bioaccumulation:</b> The process by which the amount of a substance in a living organism (or its parts) increases with time (WHO, 1979).
67.	<b>ბიოკონცენტრაციის ფაქტორი (ბკფ):</b> სიდიდე, რომელიც ასახავს ცოცხალ ორგანიზმში (ბიოტა) (მგ/კგ) ნივთიერების კონცენტრაციის შეფარდებას (მგ/ლ) გარემომცველ გარემოსთან (წყალი)  ბკფ = $\frac{\text{კონცენტრაცია ბიოტა}}{\text{კონცენტრაცია წყალი}}$	<b>BCF:</b> BCF means "bioconcentration factor", which is the ratio of the chemical concentration in an organism or biota to the concentration in water:  $BCF = \frac{\text{concentration biota}}{\text{concentration water}}$
68.	<b>ბიოლოგიური მონიტორინგი:</b> ბიოლოგიური ორგანიზმების პერიოდული კვლევა (მონიტორინგის განმარტების თანახმად). გამოიყენება ძირითადად ექსპოზიციის მონიტორინგისათვის, შეიძლება აგრეთვე ეფექტის მონიტორინგისათვისაც (WHO, 1979).	<b>Biological monitoring:</b> The periodic examination of biological specimens (in accordance with the definition of monitoring). It is usually applied to exposure monitoring but can also apply to effect monitoring (WHO, 1979).
69.	<b>ბიოლოგიური ნახევარ-დრო (სინონიმი: ბიოლოგიური ნახევარ-პერიოდი):</b> დრო, რომლის განმავლობაში ნივთიერების გარკვეული რაოდენობა ბიოლოგიურ სისტემაში ნახევრამდე მცირდება ექსპონენციალური ბიოლოგიური პროცესით (ISO, 1972). ერთკომპარტმენტური ექსპონენციალური სისტემისათვის:  ბიოლოგიური ნახევარდრო $T_{0.5} = \log 2/f$ , სადაც $f$ ელიმინაციის ან დაშლის კონსტანტაა.	<b>Biological half-life (synonym: biological half-time):</b> The time required for the amount of a particular substance in a biological system to be reduced to one-half of its value by biological processes when the rate of removal is approximately exponential (ISO, 1972). For a one-compartment system describing an exponential biological process, biological half-life $T_{0.5} = \log 2/f$ where $f$ = elimination or decay constant.
70.	<b>ბიოლოგიური ციკლი:</b> პროცესი, რომლის მეშვეობით ქიმიური ნივთიერება გადადის ბიოსფეროში. იგი მოიცავს ტრანსპორტირებას სხვადასხვა მედიების (ჰაერი, წყალი, ნიადაგი) გავლით, ტრანსფორმაციას გარემოში და	<b>Biological cycle:</b> The process through which a chemical substance passes in the biosphere. It may involve transport through the various media (air, water, soil), followed by environmental transformation, and carriage



	სხვადასხვა ეკოსისტემებში. ბუნებრივად არსებულ ქიმიურ ნივთიერებებს აქვს ბუნებრივი ბიოლოგიური ციკლი (WHO, 1979).	through various ecosystems. Chemical compounds that occur naturally have a natural biological cycle (WHO, 1979).
71.	<b>ბიოქიმიური მექანიზმი:</b> ზოგადი ტერმინი, რომლითაც ხასიათდება ცოცხალ ორგანიზმში ფერმენტებით კატალიზირებული ქიმიური რეაქციები, რის შედეგად წარმოიქმნება ცოცხალი ორგანიზმის გარკვეული ფიზიოლოგიური ეფექტები.	<b>Biochemical mechanism:</b> This is the general term for any chemical reaction or series of reactions, usually enzyme catalysed, which produces a given physiological effect in a living organism.
72.	<b>ბუნებრივი წარმოშობა:</b> ნივთიერების წარმოქმნა ბუნებაში ადამიანის ჩარევის გარეშე. ზოგიერთი ასეთი ბუნებრივი ნაერთით გარემოს დაბინძურება დღეისთვის შეიძლება იმდენად დიდი იყოს, რომ ბუნებრივი დონის ბიოტა აღარ არსებობდეს, მხოლოდ „ნორმალური დონის“ გაზომვა იყოს შესაძლებელი. ასეთი დონე, როგორც წესი, ახასიათებს ადგილებს, სადაც არ არის აშკარა ადგილობრივი დაბინძურება (WHO, 1979).	<b>Natural occurrence:</b> The occurrence in nature of a compound, when there are no man-made sources of the compound. The contamination of nature by some compounds may be so widespread that it is virtually impossible at the present time to get access to biota with a natural level and only "normal" levels can be measured, i.e., the levels that are usually prevalent at places where there is no obvious local contamination (WHO, 1979).
73.	<b>გადახრა:</b> შედეგებისა და დასკვნების ჭეშმარიტებისაგან გადახრა, ან პროცესი, რომელსაც მოსდევს ასეთი გადახრები.	<b>Bias:</b> Deviation of results or inferences from the truth, or processes leading to such deviation.
74.	<b>გამაღიზიანებელი ნივთიერება:</b> ნებისმიერი ნივთიერება, რომელიც კანსა და ლორწოვან გარსთან მყისიერი, განმეორებითი ან ხანგრძლივი კონტაქტისას იწვევს ანთებას.	<b>Irritant:</b> Applied to any substance causing inflammation following immediate, prolonged or repeated contact with skin or mucous membranes.
75.	<b>გამოყენება:</b> ნიშნავს ნებისმიერ მოქმედებას: ფორმულირებას, მოხმარებას, შენახვას, დამუშავებას, კონტეინერების შევსებას, ერთი კონტეინერისგან მეორეში გადატანას, შერევას, მასალის წარმოებას ან სხვა უტილიზაციას.	<b>Use:</b> means any processing, formulation, consumption, storage, keeping, treatment, filling into containers, transfer from one container to another, mixing, production of an article or any other utilisation.
76.	<b>გამოყენების პირობები:</b> გამოყენების პირობები ეხება ექსპოზიციის სცენარებში აღწერილ საოპერაციო პირობებსა და რისკების მართვის ღონისძიებებს.	<b>Conditions of use:</b> Conditions of use refer to the Operational Conditions and Risk Management Measures as described in an Exposure Scenarios.
77.	<b>განაწილების კოეფიციენტი:</b> მუდმივი თანაფარდობა, როდესაც ორფაზიანი ჰეტეროგენური სისტემა განონასწორებულია; კონცენტრაციათა თანაფარდობა განსხვავებული მოლეკულური სახეობების ნივთიერებების ორ ფაზაში (ჩვეულებრივ წყალი და ოქტანოლი $K_{ow}$ ) მუდმივია მოცემული ტემპერატურისა და წნევის პირობებში. $Kow = \frac{C_{\text{ოქტანოლი}}}{C_{\text{წყალი}}}$	<b>Partition coefficient:</b> The constant ratio that is found when a heterogenous system of two phases is in equilibrium; the ratio of the concentrations of the same molecular species (substance) in two phases (usually water and octanol) is constant at given temperature and pressure. $Kow = \frac{C_{\text{Octanol}}}{C_{\text{water}}}$
78.	<b>გაღიზიანება დერმალური:</b> იხ. კანის გაღიზიანება;	<b>Irritation dermal:</b> see skin irritation

79.	<b>გენერიკული სახელწოდება:</b> ნივთიერების ან ნარევის ზოგადი არა დაპატენტებული სახელწოდება.	<b>Generic name:</b> The general non-proprietary name of a substance or mixture.
80.	<b>გენი:</b> მემკვიდრული ინფორმაციის ძირითადი სტრუქტურული და ფუნქციური ერთეული. ეს არის ქრომოსომაში დნმ-ის მოლეკულის ის მონაკვეთი, რომელიც განაპირობებს პოლიპეპტიდურ ჯაჭვში ამინომჟავების თანმიმდევრობას.	<b>Gene:</b> This is the part of the DNA molecule in chromosomes which carries the information defining the sequence of amino-acids in a specific polypeptide chain.
81.	<b>დაბინძურება:</b> დამაბინძურებლების არსებობა ან შერევა მყარ, თხევად ან აიროვან გარემოში ან ნებისმიერი არასასურველი მოდიფიკაცია იმავე გარემოში (ISO 1979). ჰაერის დაბინძურებისათვის არასასურველი მოდიფიკაცია არის ის, რასაც ახლავს საზიანო და დამღუპველი ეფექტი.	<b>Pollution:</b> The introduction of pollutants into a solid, liquid, or gaseous medium, the presence of pollutants in a solid, liquid, or gaseous medium, or any undesirable modification of the composition of a solid, liquid, or gaseous medium (ISO, 1979). For air pollution, an undesirable modification is one that has injurious or deleterious effects.
82.	<b>დაკვირვება:</b> განსაზღვრული დროის განმავლობაში დაკვირვება ინდივიდებზე, ჯგუფზე ან წინასწარ განსაზღვრულ პოპულაციაზე, რომელთა სათანადო მახასიათებლები ფასდება ჯანმრთელობის სტატუსის ან ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ცვლილების დასადგენად.	<b>Follow-up:</b> Observation over a period of time of an individual, group or initially defined population whose appropriate characteristics have been assessed in order to observe changes in health status or healthrelated variables.
83.	<b>დალექვა:</b> გრავიტაციული ძალების მოქმედების შედეგად სითხიდან შეწონილი ნაწილაკების გამოყოფა (ISO 1979).	<b>Sedimentation:</b> The effect of gravitational forces resulting in the separation of particles from the fluid in which they are suspended (ISO, 1979).
84.	<b>დამაბინძურებელი:</b> ქიმიური, ფიზიკური ან ბიოლოგიური ფაქტორი, რომელიც მოცემულ გარემოსთვის არაა დამახასიათებელი, ან ისეთი ფაქტორი, რომლის შემცველობა გარემოში აჭარბებს ნორმალურ (ბუნებრივ) დონეს. პირველადი დამაბინძურებელი არის იდენტიფიცირებადი წყაროდან ატმოსფეროში გამოტყორცნილი დამაბინძურებელი. მეორადი დამაბინძურებელი არის ატმოსფეროში ქიმიური რეაქციით წარმოქმნილი დამაბინძურებელი (WHO, 1980).	<b>Pollutant:</b> Any undesirable solid, liquid, or gaseous matter in a gaseous, liquid, or solid medium (ISO, 1977). For the meaning of „undesirable” in air pollution contexts, see pollution. A primary pollutant is a pollutant emitted into the atmosphere from an identifiable source. A secondary pollutant is a pollutant formed by chemical reaction in the atmosphere (WHO, 1980).
85.	<b>დამჟანგავი აირი:</b> აირი, რომელიც ჟანგბადის გამოყოფით იწვევს ან ხელს უწყობს სხვა მასალის წვას ჰაერზე მეტად.	<b>Oxidizing gas:</b> means any gas which may, generally by providing oxygen, cause or contribute to the combustion of other material more than air does.
86.	<b>დამჟანგავი თხევადი ნივთიერება ან ნარევი:</b> თხევადი ნივთიერება, ან ნარევი, რომელიც შეიძლება თვითონ იყოს არა წვადი, ჟანგბადის გამოყოფით იწვევს ან ხელს უწყობს სხვა მასალის წვას.	<b>Oxidizing liquid:</b> means a liquid which, while in itself not necessarily combustible, may, generally by yielding oxygen, cause, or contribute to, the combustion of other material.
87.	<b>დამჟანგავი მყარი ნივთიერება ან ნარევი:</b> მყარი ნივთიერება ან ნარევი, რომელიც შეიძლება თვითონ იყოს არა წვადი, ჟანგბადის გამოყოფით იწვევს ან ხელს უწყობს სხვა მასალის წვას.	<b>Oxidizing solid:</b> means a solid which, while in itself not necessarily combustible, may, generally by yielding oxygen, cause, or contribute to, the combustion of other material.



88.	<p><b>დასაშვები კონცენტრაცია (ზღკ):</b> გარემოს ობიექტებში საშიში ქიმიური ნივთიერების დასაშვები კონცენტრაცია (მგ/მ<sup>3</sup>), რომელიც ორგანიზმზე მუდმივი ზემოქმედების პირობებში, ან ზემოქმედების შეწყვეტის ხანგრძლივი დროის გასვლის შემდეგ არ იწვევს ადამიანის ჯანმრთელობის არავითარ ცვლილებას, გამოვლენილს კვლევის თანამედროვე მეთოდებით.</p>	<p><b>Permissible concentration:</b> of hazardous chemical substances (mg/m<sup>3</sup>) in environmental objects, which, under conditions of constant exposure to the organism or long periods of interruption, does not cause any change in human health by modern methods of research.</p>
89.	<p><b>დებინსექცია:</b> არის საზოგადოებრივი ჯანდაცვის პროცედურა, რომელიც აკონტროლებს ან ანადგურებს ადამიანის დაავადებების მწერების ვექტორს ბარგში, ტვირთში, კონტეინერებში, ტრანსპორტში, პროდუქციასა და საფოსტო გზავნილებში.</p>	<p><b>Disinsection:</b> means the procedure whereby health measures are taken to control or kill the insect vectors of human diseases present in baggage, cargo, containers, conveyances, goods and postal parcels.</p>
90.	<p><b>დისტრიბუტორი:</b> ნიშნავს ნებისმიერ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს, მათ შორის, საცალო მოვაჭრეს, რომელიც განათავსებს ნივთიერებას ბაზარზე ან მაღაზიებში, ან ნივთიერების მფლობელს, ან მესამე მხარისთვის მის დამამზადებელს და განმათავსებელს.</p>	<p><b>Distributor:</b> means any natural or legal person established within the Community, including a retailer, who only stores and places on the market a substance, on its own or in a preparation, for third parties.</p>
91.	<p><b>დღმა მიღებული (უღუფა):</b> ორგანიზმში მოხვედრილი ნივთიერების ან ნარევის რაოდენობა, მიუხედავად იმისა, შეიწოვება ის თუ არა. დღიური დღმა (უღუფა) შეიძლება დადგინდეს ექსპოზიციის გარკვეული გზისათვის, მაგალითად, გადაყლაპვით (საკვებით) ან ჩასუნთქვით. საკვებით მიღებული დღიური დღმა (უღუფა) არის დღის განმავლობაში ორგანიზმის მიერ საკვებით მიღებული კონკრეტული ნივთიერების ჯამური რაოდენობა. ჩასუნთქვით მიღებული დღიური დღმა (უღუფა) გამოითვლება ჰაერში არსებული ნივთიერების კონცენტრაციის გამრავლებით ერთი დღის (24 საათი) განმავლობაში ჩასუნთქული ჰაერის რაოდენობაზე. სრული დღიური დღმა (უღუფა) არის ინდივიდის მიერ საკვებით, სასმელი წყლით, ჩასუნთქული ჰაერით მიღებული დღმების (უღუფების) ჯამი (WHO, 1979).</p>	<p><b>Intake:</b> The amount of a substance or material that is taken into the body, regardless of whether or not it is absorbed. The daily intake may be expressed as the amount taken in by a particular exposure route, e.g., ingestion or inhalation. The daily intake from food is the total amount of a given substance taken in during one day through the consumption of food. The daily intake by inhalation is calculated by multiplying the concentration of the substance (or agent) in air by the total amount of air inhaled during one day (24 hours). The total daily intake is the sum of the daily intake by an individual from food, drinking-water, and inhaled air (WHO, 1979).</p>
92.	<p><b>დღმა-პასუხის შეფასება:</b> დღმა პასუხის შეფასება არის დღმის, ან ნივთიერების ზემოქმედების დონისა და ეფექტის სიხშირის და სიმძიმის შეფასება.</p>	<p><b>Dose response assessment:</b> A dose-response assessment is the estimation of the relationship between the dose, or level of exposure to a substance, and the incidence and severity of an effect.</p>
93.	<p><b>დღსიე ტექნიკური:</b> REACH- ის მიხედვით ეს ტერმინი ნიშნავს დოკუმენტაციას, რომელიც მოიცავს 10 (ა) მუხლში მითითებულ რეგისტრაციისათვის საჭირო სრულ ინფორმაციას.</p>	<p><b>Technical dossier:</b> The primary meaning of the term under REACH is documentation, which contains all information required for registration, as specified in Article 10 (a).</p>
94.	<p><b>დღროებითი დასაშვები სადღღღამისო დღმა:</b> გამოიყენება, როდესაც მონაცემები საკმარისია დასკვნისთვის, რომ ნივთიერების მიღება უსაფრთხოა შედარებით მოკლე პერიოდის</p>	<p><b>Temporary acceptable daily intake:</b> Used when data are sufficient to conclude that use of the substance is safe over the relatively short period of time required to generate and</p>

193.	<p><b>მუტაცია:</b> ნებისმიერი მემკვიდრეობითი ცვლილება გენეტიკურ მასალაში. ეს შეიძლება იყოს ინდივიდუალური გენის ქიმიური ტრანსფორმაცია (გენის ან წერტილოვანი მუტაცია), რომელიც ცვლის თავის ფუნქციას. მეორეს მხრივ, ამ ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს ქრომოსომული ცვლილება (რეკონსტრუქცია), მისი ნაწილის დაკარგვა ან მატება, რომელიც შეიძლება მიკროსკოპულად ჩანდეს. ეს განისაზღვრება, როგორც ქრომოსომული მუტაცია (WHO, 1979).</p>	<p><b>Mutation:</b> Any heritable change in genetic material. This may be a chemical transformation of an individual gene (a gene or point mutation), which alters its function. On the other hand, this change may involve a rearrangement, or a gain or loss of part of a chromosome, which may be microscopically visible. This is designated a chromosomal mutation (WHO, 1979).</p>
194.	<p><b>მყარი ნაწილაკები (PM<sub>2.5</sub> , PM<sub>10</sub>):</b> სამუშაო გარემოში ან დედამიწის ატმოსფეროში შენონილი მიკროსკოპული მყარი ან თხევადი ნაწილაკები. მხოლოდ ნაწილაკები, რომელთა აეროდინამიკური დიამეტრი ნაკლებია 10 მიკრონზე (მილიმეტრის მეათასედი) აღწევს ალვეოლებს. დიდი ნაწილაკები გროვდებიან სასუნთქი სისტემის ზედა ნაწილში და გამოიღვანებიან მუკოცილარული ესკალაციით, თუმცა, შემდგომში, შეიძლება მოხდეს მათი გადაყლაპვა და კუჭ-ნაწლავის ტრაქტიდან შეიწოვა.</p> <p>ა) <b>PM<sub>10</sub></b>- მყარი ნაწილაკები, რომელთა აეროდინამიკური დიამეტრი <math>\leq 10</math> მიკრომეტრზე, <math>\mu\text{m}</math>. ISO 7708: 1995, 2008 განსაზღვრავს PM<sub>10</sub> -ს, როგორც „გულმკერდის ფრაქციას“.</p> <p>ბ) <b>PM<sub>2.5</sub></b> მყარი ნაწილაკები, რომელთა აეროდინამიკური დიამეტრი <math>\leq 2.5</math> მიკრომეტრზე, <math>\mu\text{m}</math>; ISO 7708: 1995, 2008 განსაზღვრავს PM<sub>2.5</sub> -ს, როგორც "მაღალი რისკის რესპირაბელურ ფრაქციას" (ISO 7708: 1995, 2008).</p>	<p><b>Particulate matter (PM<sub>2.5</sub>, PM<sub>10</sub>):</b> are microscopic solid or liquid matter suspended in the working place air or in the Earth's atmosphere. Only particles smaller than about 10 microns (one thousandth of a millimetre) will reach the alveoli. Larger particles are deposited higher up in the respiratory system and removed on the mucocilliary escalator, but may then be swallowed and subsequently absorbed through the gastro-intestinal tract.</p> <p><b>a) PM<sub>10</sub></b> is used to describe particles <math>\leq 10</math> micrometers in aerodynamic diameter. PM<sub>10</sub> corresponds to the "thoracic fraction" as defined in ISO 7708:1995, 2008;</p> <p><b>b) PM<sub>2.5</sub></b> represents particles <math>\leq 2.5</math> micrometers in aerodynamic diameter. PM<sub>2.5</sub> corresponds to the "high-risk respirable fraction" as defined in ISO 7708:1995, 2008.</p>
195.	<p><b>მყარი ნივთიერება:</b> ნივთიერება ან ნარევი, რომელიც არ პასუხობს სითხის და აირის განმარტებას.</p>	<p><b>Solid:</b> means a substance or mixture which does not meet the definitions of a liquid or gas.</p>
196.	<p><b>მწვავე ეფექტი:</b> ექსპოზიციის მცირე ხანგრძლიობის შედეგად მყისიერად წარმოქმნილი ეფექტი (WHO, 1979).</p>	<p><b>Acute effects:</b> Effects that occur rapidly following exposure and are of short duration (WHO, 1979).</p>
197.	<p><b>მწვავე ტოქსიკურობა:</b> ერთჯერადი ან 24 საათის განმავლობაში მრავალჯერადი მიღების შემდეგ მოკლე დროში გამოვლენილი მავნე ეფექტები.</p>	<p><b>Acute toxicity:</b> The adverse effects occurring within a short time of administration of a single dose or multiple doses given within 24 hours (Hagan, 1959).</p>
198.	<p><b>მწვავე ტოქსიკურობის ცდა:</b> ექსპერიმენტული ცხოველების კვლევა, სადაც მავნე ეფექტები გამოვლინდება შხამის ერთჯერადი ან მრავალჯერადი ზემოქმედებიდან მოკლე დროის განმავლობაში (1-7 დღე). ყველაზე ხშირად გამოიყენება მწვავე ტოქსიკურობის პარამეტრის, ლეტალური დოზის (LD<sub>50</sub>) დასადგენად (WHO, 1978 a).</p>	<p><b>Acute toxicity test:</b> An experimental animal study in which the adverse effects occur in a short time (from 1-7 days) following the administration of a single or multiple doses of a chemical. The most frequently used acute toxicity test involves determination of the median lethal dose (LD<sub>50</sub>) of the compound (WHO, 1978 a).</p>

199.	<b>ნალექი:</b> შენონილი ნაწილაკების დალექვის შედეგად წყლის ნაკადის ფსკერზე წარმოქმნილი მასალა(WHO, 1979).	<b>Sediment:</b> Material that occurs on the bottom of a water stream and is the result of sedimentation of suspended matter (WHO, 1979).
200.	<b>ნარევი:</b> ორი ან რამდენიმე ნივთიერებისაგან შემდგარი ნარევი ან ხსნარი, რომელშიც ეს ნივთიერებები ერთმანეთთან არ რეაგირებენ.	<b>Mixture:</b> means a mixture or a solution composed of two or more substances in which they do not react.
201.	<b>ნარჩენი რაოდენობის დროებითი მაქსიმალურად დასაშვები დონე (დმდ):</b> არის ნარჩენი რაოდენობის დროებითი დასაშვები მაქსიმალური დონე დადგენილი განსაზღვრული პერიოდისათვის, როდესაც: (i) პესტიციდისათვის დადგინდა მხოლოდ დროებითი ან პირობითად მისაღები ყოველდღიური დოზა, ან (ii) მიუხედავად იმისა, რომ მისაღები ყოველდღიური დოზა უკვე დადგენილია, მონაცემები ნარჩენების შესახებ არაადეკვატურია ნარჩენების მაქსიმალური რაოდენობის რეკომენდაციებისათვის (WHO, 1976).	<b>Temporary maximum residue limit:</b> A temporary maximum residue limit is a maximum residue limit established for a specified, limited period when (i) only a temporary or conditional acceptable daily intake has been established for the pesticide concerned, or (ii) although an acceptable daily intake has been established, the residue data are inadequate for firm maximum residue recommendations (WHO, 1976).
202.	<b>ნარჩენი რაოდენობის მაქსიმალურად დასაშვები დონე:</b> სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის უშუალოდ ან ირიბად დასაცავად გამოყენებული პესტიციდების ნარჩენი მაქსიმალური კონცენტრაციის რეკომენდებული დონე. ნარჩენი რაოდენობის მაქსიმალური დონე ოფიციალურად უნდა იქნეს აღიარებული. იგი გამოისახება მილიგრამით პროდუქტის მასის ერთ კილოგრამზე, მგ/კგ (WHO, 1976).	<b>Maximum residue limit:</b> The maximum concentration of a pesticide residue resulting from the use of a pesticide according to good agricultural practice directly or indirectly for the production and/or protection of the commodity for which the limit is recommended. The maximum residue limit should be legally recognized. It is expressed in milligrams of the residue per kilogram of the commodity (WHO, 1976).
203.	<b>ნაწლავური რეაბსორბცია:</b> უკვე შეწოვილი მასალის ნაწვლის საშუალებით განმეორებით შეწოვა ნაწლავებში (WHO, 1979).	<b>Intestinal reabsorption:</b> Absorption further down the intestinal tract of material that has been absorbed before and subsequently excreted into the intestinal tract, usually through the bile (WHO, 1979).
204.	<b>ნემატოციდები:</b> ნემატოდების სანაღმდეგო ქიმიური საშუალება.	<b>Nematicide:</b> A chemical used to kill nematodes.
205.	<b>ნეოპლაზმა (ახალწარმონაქმნი):</b> ახალი ქსოვილის ან სიმსივნის წარმოქმნა. იხილეთ: ავთვისებიანი, სიმსივნე.	<b>Neoplasm:</b> Any formation of tissue associated with disease such as tumour. See malignant, tumour.
206.	<b>ნივთიერება, რომელიც წყალთან შეხებისას გამოყოფს აალებად აირებს:</b> ნიშნავს მყარ ან თხევად ნივთიერებას, ან ნარევს რომელიც წყალთან შეხებისას წარმოქმნის აალებად აირებს, აქვს უნარი მყისიერად აალდეს ან წარმოქმნას აალებადი აირების დიდი რაოდენობა.	<b>Substance which, in contact with water, emits flammable gases:</b> means a solid or liquid substance or mixture which, by interaction with water, is liable to become spontaneously flammable or to give off flammable gases in dangerous quantities.
207.	<b>ნივთიერება:</b> ბუნებრივად, ან ნებისმიერი ტექნოლოგიური პროცესის შედეგად წარმოქმნილი ქიმიური ელემენტი ან ელემენტების ნაერთი.	<b>Substance:</b> means chemical elements and their compounds in the natural state or obtained by any production process.

208.	<b>ნიმუში:</b> პოპულაციიდან ამოღებული ერთი ან მეტი მასალა პოპულაციის შესახებ ინფორმაციის მოსაპოვებლად. მის საფუძველზე შეიძლება გადაწყვეტილების მიღება პოპულაციის შესახებ, ან მის მიერ გამოწვეული პროცესის დასარეგულირებლად (ISO, 1977).	<b>Sample:</b> One or more items taken from a population and intended to provide information on the population, and possibly to serve as a basis for a decision on the population or on the process which had produced it (ISO, 1977).
209.	<b>ნიმუშის აღების შეცდომა:</b> პარამეტრის შეფასების საერთო შეცდომის ნაწილი ნიმუშის რანდომულად აღების გამო (ISO, 1977).	<b>Sampling error:</b> Part of the total estimation error of a parameter due to the random nature of the sample (ISO, 1977).
210.	<b>ნიტრატები:</b> ამოტყუავას მარილები.	<b>Nitrates :</b> nitric acid salts
211.	<b>ნიტრიტები:</b> ამოტოვანი მჟავას მარილები.	<b>Nitrites:</b> nitrous acid salts
212.	<b>ობიექტური გარემო:</b> ფაქტობრივი ფიზიკური, ქიმიური და სოციალური გარემო აღწერილი ობიექტური გაზომვებით, როგორცაა დეციბელებში ხმაურის დონე და ჰაერის დამაბინძურებლების კონცენტრაცია (WHO, 1979).	<b>Objective environment:</b> The actual physical, chemical, and social environment as described by objective measurements, such as noise levels in decibels and concentrations of air pollutants (WHO, 1979).
213.	<b>ოკულარული:</b> თვალთან დაკავშირებული საკითხების აღმნიშვნელი ზედსართავი.	<b>Ocular:</b> The adjective applying to anything pertaining to the eye.
214.	<b>ორგანული პეროქსიდები:</b> წყალბადის პეროქსიდების წარმოებულად მიჩნეული ბივალენტური სტრუქტურის -O-O- მქონე ორგანული ნივთიერებების შემცველი სითხე ან მყარი ნივთიერებები, სადაც ერთი ან ორივე წყალბადის ატომი ჩანაცვლებულია ორგანული რადიკალებით. მოცემულ ჯგუფს მიეკუთვნება აგრეთვე ორგანული პეროქსიდების ფორმულაციები (ნარეგები).	<b>Organic peroxide:</b> means a liquid or solid organic substance which contains the bivalent -O-O- structure and may be considered a derivative of hydrogen peroxide, where one or both of the hydrogen atoms have been replaced by organic radicals. The term also includes organic peroxide formulation (mixtures).
215.	<b>პასიური მონევა:</b> სიგარეტის (ჩიბუხის, სიგარის) ნაფაზებს შორის გამოყოფილი ბოლი, რომელსაც მწვევლი არ ჩაისუნთქავს.	<b>Sidestream smoke:</b> The smoke that is given off from the cigarette (pipe, cigar) between puffs and is not directly inhaled by the smoker.
216.	<b>პესტიციდები:</b> ეს ტერმინი განსაზღვრავს ქიმიკატებს, რომლებიც გამოიყენება მავნებლების მოსასპობად და სოფლის მეურნეობაზე, გარემოზე, ჯანმრთელობაზე და ადამიანის სხვა ინტერესებზე მავნე ზეგავლენის მინიმუმადე დასაყვანად. პესტიციდები ხშირად კლასიფიცირდებიან გასაკონტროლებელი ორგანიზმების მიხედვით. ასეთებია, მაგალითად, ფუნგიციდები, პერბიციდები, ინსექტიციდები, მოლუსკიციდები, ნემატიციდები, როდენტიციდები და ა.შ.	<b>Pesticides:</b> This is a descriptor applied to chemicals or biological preparatus used to kill pests and minimize their impact in agriculture, health and other human interests. Pesticides are often classified according to the organisms which they are used to control, for example as fungicides, herbicides, insecticides, molluscicides, nematocides, rodenticides, etc.
217.	<b>პესტიციდების ნარჩენი რაოდება:</b> პესტიციდების გამოყენების შედეგად ადამიანისა და ცხოველის საკვებ პროდუქციაში არსებული ნებისმიერი	<b>Pesticide residue:</b> A pesticide residue is any substance or mixture of substances in food for man or animals resulting from the use of a



	ნივთიერება ან ნარევი, რომელიც მოიცავს ტოქსიკოლოგიური მნიშვნელობის მქონე წარმოებულებს: დეგრადაციის, კონვერსიის ან რეაქციის პროდუქტებს, მეტაბოლიტებს და მინარევებს (WHO, 1976).	pesticide and includes any specified derivatives, such as degradation and conversion products, metabolites, reaction products, and impurities that are considered to be of toxicological significance (WHO, 1976).
218.	<b>პესტიციდებისა და აგროქიმიკატების სახელმწიფო რეგისტრაცია:</b> პროცესი, რომლის საფუძველზე აღმასრულებელი ხელისუფლების უფლებამოსილი ორგანო პესტიციდის /აგროქიმიკატის გამოცდების შედეგებისა და სამეცნიერო მონაცემების მიხედვით, რეგისტრანტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ინფორმაციის კომპლექსური შეფასებისა და ანალიზის შემდეგ იძლევა პესტიციდებისა და აგროქიმიკატების საქართველოში წარმოების, შემოტანის, შენახვის, რეალიზაციის, გამოყენებისა და რეკლამის უფლებას.	<b>State registration of pesticides and agrochemicals: State registration of pesticides and agrochemicals:</b> means the process whereby the national government authority responsible for arranging registration tests and registration grants the right to manufacture, import, store, market, use and advertise pesticides and agrochemicals in Georgia following the evaluation of comprehensive scientific data.
219.	<b>პესტიციდებისა და აგროქიმიკატების უსაფრთხო მოხმარება:</b> ნიშნავს მომქმედ ნორმებსა და სტანდარტებს, რომლებიც გამორიცხავენ ადამიანთა და ცხოველთა ჯანმრთელობაზე და გარემოზე კონკრეტული პესტიციდისა და აგროქიმიკატის ნეგატიურ ზემოქმედებას მათი გამოყენების, შემუშავების, გამოცდის, ექსპერტიზის, რეგისტრაციის, წარმოების, მარკირების, შეფუთვის, რეალიზაციის, შენახვის, ტრანსპორტირების, გაუვნებელყოფის, განთავსების, რეკლამირებისა და ექსპორტი-იმპორტის დროს.	<b>Safe application of pesticides and agrochemicals:</b> means the operating norms and standards which exclude adverse impact on human and animal health and the environment during the use, development, testing, examination, registration, manufacture, labeling, packaging, marketing, storage, handling, decontamination, disposal, advertising and export-import of a specific pesticide or agrochemical;
220.	<b>პესტიციდის მოქმედი ნივთიერება:</b> პესტიციდის ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერება, რომლის სხვადასხვა პრეპარატული ფორმით გამოყენება ზემოქმედებას ახდენს მავნე ორგანიზმის ან მცენარის ზრდა-განვითარებაზე.	<b>Pesticide active ingredient:</b> means the biologically active part of a pesticide whose use in the form of various preparations affects the growth/development of a harmful organism or a plant.
221.	<b>პიკტოგრამა:</b> გრაფიკული კომპოზიცია, რომელიც შეიძლება შეიცავდეს სიმბოლოს და სხვა გრაფიკულ ელემენტებს, როგორცაა საზღვარი, ფონზე ნიმუში ან ფერი, რაც მიზნად ისახავს კონკრეტული ინფორმაციის გადაცემას.	<b>Pictogram:</b> means a graphical composition that may include a symbol plus other graphic elements, such as a border, background pattern or color that is intended to convey specific information.
222.	<b>პირდაპირ მიმართული კვამლი (თამბაქოს მოხმარება):</b> თამბაქოს მოხმარებისას შესუნთქული კვამლი.	<b>Mainstream smoke (tobacco smoking):</b> The smoke that is inhaled.
223.	<b>პირველადი დამაბინძურებელი:</b> იხილეთ დამაბინძურებელი.	<b>Primary pollutant:</b> See pollutant.

224.	<b>პირველადი დაცვის სტანდარტი:</b> სამიზნე ჯგუფში ან მის ნაწილში დამაბინძურებლის (ან მისი ინდიკატორის) დასაშვები მაქსიმალური დონე, ან დამაბინძურებლის მაქსიმალურად მისაღები დონე, ან დაბრკოლება გარკვეულ გარემოებაში (UN, 1972).	<b>Primary protection standard:</b> An accepted maximum level of a pollutant (or its indicator) in the target, or some part thereof, or an accepted maximum intake of a pollutant or nuisance into the target under specified circumstances (UN, 1972).
225.	<b>პიროტექნიკური ნაწარმი:</b> ნაწარმი, რომელიც შეიცავს ერთ ან მეტ პიროტექნიკურ ნივთიერებას.	<b>Pyrotechnic article:</b> means an article containing one or more pyrotechnic substances;
226.	<b>პიროტექნიკური ნივთიერება ან ნარევი:</b> წარმოადგენს ნივთიერებას ან ნარევს გამიზნულს არა დეტონირებადი, თვითწარმოქმნილი ეგზოთერმული რეაქციის შედეგად სითბური, სინათლის, გაზის ან კვამლის ეფექტის ან და მათი კომბინაციის მოსახდენად.	<b>Pyrotechnic substance:</b> means a substance or mixture of substances designed to produce an effect by heat, light, sound, gas or smoke or a combination of these as the result of non-detonative, self-sustaining exothermic (heat-related) chemical reactions.
227.	<b>პიროფორული მყარი ნივთიერება ან ნარევი:</b> მყარი ნივთიერება, რომელიც ჰაერთან 5 წუთის განმავლობაში თუნდაც მცირე რაოდენობით შეხებისას ააღდება.	<b>Pyrophoric solid:</b> means a solid which, even in small quantities, is liable to ignite within five minutes after coming into contact with air.
228.	<b>პიროფორული სითხე:</b> სითხე, რომელიც ჰაერთან 5 წუთის განმავლობაში თუნდაც მცირე რაოდენობით შეხებისას ააღდება.	<b>Pyrophoric liquid:</b> means a liquid which, even in small quantities, is liable to ignite within five minutes after coming into contact with air.
229.	<b>პოპულაცია (ზოგადად):</b> ქვეყნის, ქალაქის, ან სხვა ტერიტორიაზე მცხოვრები პირების საერთო რაოდენობა. პოპულაცია შეიძლება ასევე განისაზღვროს რომელიმე განსხვავებული მახასიათებლით (როგორცაა ბიოლოგიური, სამართლებრივი, სოციალური და ეკონომიკური), ვიდრე კონკრეტულ ადგილას ცხოვრებაა, მაგალითად, მამრობითი პოპულაცია, დასაქმებული პოპულაცია.	<b>Population (general usage):</b> The total number of persons inhabiting a country, town, or other area. A population may also be defined by some other characteristic (such as biological, legal, social, or economic) than living in a particular area, e.g., the male population, the gainfully occupied population.
230.	<b>პოპულაცია (სტატისტიკა):</b> ყველა განსახილველი პირის ერთობლიობა. პოპულაციის ყოველ მკაფიოდ განსაზღვრულ ნაწილს ეწოდება „ქვეპოპულაცია“. რანდომული ვარიაბელობის შემთხვევაში სავარაუდო განაწილება განიხილება, როგორც პოპულაციის შეცვლილი რაოდენობა (ISO, 1977). ტერმინი „პოპულაციის სეგმენტი“ ზოგჯერ გამოიყენება, როგორც ქვეპოპულაციის სინონიმი.	<b>Population (statistics):</b> The totality of items under consideration. Every clearly defined part of a population is called a "subpopulation". In the case of a random variable, the probability distribution is considered as defining the population of that variable (ISO, 1977). The term Population Segment is sometimes used as a synonym for subpopulation.
231.	<b>პოპულაცია რეფერენტული:</b> სტანდარტი, რომელსაც გამოსაკვლევ პოპულაციას ადარებენ (Last., 1988).	<b>Reference population:</b> The standard against which a population that is being studied can be compared (Last, 1988).
232.	<b>პოპულაციის კრიტიკული კონცენტრაცია:</b> ქიმიკატების კონცენტრაცია კრიტიკულ ორგანოში (ტოქსიკოლოგია), როდესაც ზემოქმედებული პოპულაციის გარკვეულ პროცენტში მიღწეულია მათი ინდივიდუალური კრიტიკული ორგანოს კონცენტრაცია. PCC-10 აღნიშნავს პოპულაციის 10 %-ს, PCC-50 პოპულაციის 50 %-ს და ა.შ.	<b>Population critical concentration (PCC):</b> The concentration of a chemical in the critical organ (toxicology) at which a specified percentage of the exposed population has reached their individual critical organ concentrations. The percentage indicated by PCC-10 for 10 %, PCC-50 for 50 % etc. (similar to the use of the term



	(მსგავსად არსებული ტერმინისა LC <sub>50</sub> ) (Kjellström et al., 1984).	LC <sub>50</sub> ) (Kjellström et al., 1984).
233.	<b>პოტენცირება:</b> ორგანიზმზე ორი ან მეტი ქიმიკატის კომბინირებული ზემოქმედების ეფექტის გაძლიერება (WHO, 1978 a).	<b>Potential:</b> The joint action of two or more chemicals on an organism is more than additive (WHO, 1978 a).
234.	<b>პრევალენტობა, პერიოდი:</b> პირთა საერთო რაოდენობა, რომელსაც დროის განსაზღვრულ პერიოდში ჰქონდა დაავადება ან დაავადების რაიმე ნიშანი.	<b>Prevalence, period:</b> The total number of persons known to have had the disease or attribute at any time during a specified period.
235.	<b>პრევალენტობა, პუნქტი:</b> დაავადების ან დაავადების რაიმე ნიშნის მქონე პირთა რაოდენობა კონკრეტულ პუნქტსა და მომენტში (Last, 1988).	<b>Prevalence, point:</b> The number of persons with a disease or an attribute at a specified point in time (Last, 1988).
236.	<b>პრევალენტობა, სიცოცხლის განმავლობაში:</b> პირთა საერთო რაოდენობა, რომელსაც ცნობილია, რომ ჰქონდა დაავადება ან დაავადების რაიმე ნიშანი თავისი ცხოვრების ყველაზე მცირე, განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში.	<b>Prevalence, lifetime:</b> The total number of persons known to have had the disease or attribute for at least part of their life.
237.	<b>პრევალენტობა, წლიური (ზოგჯერ გამოიყენება ინდექსი):</b> დაავადებულ ან დაავადების რაიმე ნიშნის მქონე პირთა საერთო რაოდენობა წელიწადის ნებისმიერ დროს. იგი მოიცავს ადრე წარმოქმნილ დაავადებებს, გადმოყოლილ მოცემულ წელიწადში და მთელი წლის განმავლობაში, ისევე როგორც იმ დაავადებებს, რომლებიც ამ წელიწადში განვითარდა.	<b>Prevalence, annual (an occasionally used index):</b> The total number of persons with the disease or attribute at any time during a year. It includes cases of the disease arising before but extending into or through the year as well as those having their inception during the year.
238.	<b>პრევალენტობა:</b> განსაზღვრულ დროს მოცემული დაავადების ან სხვა მდგომარეობის შემთხვევების რიცხვი მოცემულ პოპულაციაში. ზოგჯერ გამოიყენება ავადობის კოეფიციენტის მნიშვნელობით. როცა გამოიყენება კვალიფიკაციის გარეშე, ტერმინს იყენებენ მოცემული სიტუაციის მიმართ დროის განსაზღვრულ მომენტში (ნერტილოვანი გავრცელება).	<b>Prevalence:</b> The number of instances of a given disease or other condition in a given population at a designated time; sometimes used to mean prevalence rate. When used without qualification, the term usually refers to the situation at a specified point in time (point prevalence).
239.	<b>პრევალენტობა-შანსთა თანაფარდობა:</b> ეხება ჯვარედინ-სექციურად მიღებულ შანსთა თანაფარდობას. მაგალითად, პრევალენტური (და არა ინციდენტური) კვლევის შემთხვევების შანსთა თანაფარდობა.	<b>Prevalence-odds ratio:</b> refers to an odds ratio derived cross-sectionally, as, for example, an odds ratio derived from studies of prevalent (rather than incident) cases.
240.	<b>პროდუქცია:</b> ნიშნავს ორი ან მეტი ნივთიერებისაგან შედგენილ ნარევეს ან ხსნარს.	<b>Preparation:</b> means a mixture or solution composed of two or more substances.
241.	<b>პროსპექტიული კოჰორტული კვლევა:</b> იხ. კოჰორტული კვლევა.	<b>Prospective cohort study:</b> See cohort study
242.	<b>პროფესიული ჰიგიენა (შრომის ჰიგიენა):</b>	<b>Occupational hygiene:</b> The applied science

	მეცნიერება, რომელიც სწავლობს, აფასებს და აკონტროლებს ქიმიურ, ფიზიკურ და ბიოლოგიურ ფაქტორებს სამუშაო ადგილებზე.	concerned with recognition, evaluation and control of chemical, physical or biological factors arising from the workplace.
243.	<b>ქემ (ჯანგბადის ქიმიური მოთხოვნილება):</b> ნივთიერების დასაქანგად საჭირო ჯანგბადის რაოდენობა.	<b>COD (Chemical Oxygen Demand):</b> The amount of oxygen required to oxidize the substance chemically.
244.	<b>რადიოაქტიური ნახევარ დაშლის პერიოდი:</b> (i) დრო, რომელიც საჭიროა რადიოაქტიური დაშლის ერთ პროცესში, აქტიურობის ნახევრამდე შესამცირებლად (ISO, 1972); (ii) დრო, რომელიც საჭიროა რადიოაქტიური ნუკლიდების გარკვეული რაოდენობის ნახევრამდე შესამცირებლად (ICRU, 1980).	<b>Radioactive half-life:</b> (i) For a single radioactive decay process, the time required for the activity to decrease to half its value by that process (ISO, 1972); (ii) the time taken for the activity of an amount of radioactive nuclide to fall to half its initial value (ICRU, 1980).
245.	<b>რანდომიზაცია:</b> კვლევის დროს მონაწილეთა განაწილება ორ ან მეტ ალტერნატიულ ჯგუფში შემთხვევითად, მაგალითად კომპიუტერის მიერ გენერირებული შემთხვევითი რიცხვების მიხედვით.	<b>Randomisation:</b> Allocation of participants in a research study to two or more alternative groups using a chance procedure, such as computergenerated random numbers.
246.	<b>რანდომიზებული კონტროლირებადი კვლევა:</b> შედარებითი კვლევა, რომელშიც მონაწილეები შემთხვევითად არიან განაწილებულნი ინტერვენციისა და საკონტროლო ჯგუფებში, და მათ აკვირდებიან ჯგუფებს შორის შედეგის განსხვავების გამოვლენის მიზნით.	<b>Randomised controlled trial (RCT):</b> A comparative study in which participants are randomly allocated to intervention and control groups and followed up to examine differences in outcomes between the groups.
247.	<b>რეგისტრანტი:</b> ნიშნავს სარეგისტრაციოდ წარდგენილი ნივთიერების ან მასალის მწარმოებელს ან იმპორტიორს.	<b>Registrant:</b> means the manufacturer or the importer of a substance or the producer or importer of an article submitting a registration for a substance.
248.	<b>რეგისტრაცია:</b> ტექნიკური დოკუმენტის და მოთხოვნის შემთხვევაში, ევროკავშირში (და ევროპის ეკონომიკური სივრცეში) დამზადებული და/ან იმპორტირებული ნივთიერების ქიმიური უსაფრთხოების ანგარიშის წარდგენა სააგენტოში.	<b>Registration:</b> is the submission to the Agency of a technical dossier and, if required, a chemical safety report for a substance being manufactured in or imported into the European Union (and in the European Economic Area (EEA)).
249.	<b>რეპლიკაცია:</b> ექსპერიმენტის ან კვლევის მიმდინარეობის დროს ვარიანტებს შორის უკეთესი შეფასების მისაღებად მნიშვნელობის მრავალჯერადი განსაზღვრა. რეპლიკაცია უნდა განვასხვაოთ განმეორებისაგან იმით, რომ ექსპერიმენტის რეპლიკაცია ნიშნავს შესაძლებლობის ფარგლებში ერთსა და იმავე ადგილსა და პერიოდში განსაზღვრის განმეორებას. წარმატებულ განსაზღვრებს, მათ შორის, პირველსავე, ეწოდება რეპლიკაცია (ISO, 1977).	<b>Replication:</b> During the course of an experiment or survey, replication is the determination of a value more than once, so as to obtain a better estimation of the variation. Replication should be distinguished from repetition by the fact that replication of an experiment denotes repeated determinations carried out, as far as possible, at one place and one period of time. The successive determinations, including the first, are called replicates (ISO, 1977).

250.	<b>რეპროდუქციული ეფექტი:</b> ქიმიკატების უარყოფითი გავლენა ორგანიზმის რეპროდუქციული ფუნქციის ნებისმიერ ასპექტზე. (WHO, 1979).	<b>Reproductive effects:</b> The adverse effects of a chemical on any aspects of reproduction in an organism (WHO, 1979).
251.	<b>რესპირატორული მასენსიბილიზებული ნივთიერება ან ნარევი:</b> არის ნივთიერება ან ნარევი, რომელიც ჩასუნთქვისას იწვევს სასუნთქი გზების ჰიპერსენსიტიურობას.	<b>Respiratory sensitizer:</b> means a substance that induces hypersensitivity of the airways following inhalation of the substance.
252.	<b>რეტენცია:</b> ნივთიერების რაოდენობა, რომელიც არსებული დეპოზიტიდან რჩება ორგანიზმში გარკვეული დროის გავლის შემდეგ. თუ რეტენციის დამოკიდებულება დროსთან არის პირველი რიგის პროცესი, ამ პროცესის აღწერა შეიძლება ბიოლოგიური ნახევრადგამოყოფის (დაშლის) პერიოდის ტერმინით. (WHO, 1979).	<b>Retention:</b> The amount of substance that is left of the deposited amount after a certain time. If the retention follows a course in relation to time that is a first-order process, it may be described in terms of biological half-life (WHO, 1979).
253.	<b>რეტროსპექტიული კვლევა:</b> კვლევის დიზაინი, რომელიც გამოიყენება ეტიოლოგიური ჰიპოთეზის გამოსაკვლევად, რომელშიც დასკვნა გაკეთებულია ზემოქმედების ისეთ სავარაუდო გამოწვევ ფაქტორებზე, რომელიც ყვრდნობა შესწავლილ პირთაგან მიღებულ მონაცემებს, ან მათ წარსულ გამოცდილებას (from Last, 1983).	<b>Retrospective study:</b> A research design which is used to test etiologic hypotheses in which inferences about exposure to the putative causal factor(s) are derived from data relating to characteristics of the persons under study or to events or experiences in their past (from Last, 1983).
254.	<b>რეფერენს სტანდარტი (ან ოქროს სტანდარტი):</b> მიღებული სტანდარტი, მაგალითად, ტესტი ან მკურნალობა, რომელსაც უდარებენ სხვა ინტერვენციას.	<b>Reference standard (or gold standard):</b> An agreed standard, for example for a test or treatment, against which other interventions can be compared.
255.	<b>რისკი დასაშვები:</b> ეს კონცეფცია ეხება ინდივიდუალური პიროვნების, ჯგუფის ან საზოგადოებისათვის ასატან დაავადების ან ტრავმის ალბათობას. დასაშვები რისკის მიღება დამოკიდებულია მეცნიერულ მონაცემებზე, სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ ფაქტორებზე, და აგრეთვე, სარგებელობაზე, რომელიც შეიძლება მოიტანოს ქიმიურმა ნივთიერებამ ან პროცესებმა.	<b>Acceptable risk:</b> This concept relates to the probability of suffering disease or injury that will be tolerated by an individual, group or society. Acceptability of risk depends on the scientific data, social, economic and political factors, and on the perceived benefits arising from the a chemical or process.
256.	<b>რისკი:</b> ქიმიური ნივთიერების ზემოქმედების არასასურველი ეფექტების მოსალოდნელი სიხშირე. ალბათობა იმისა, რომ რაიმე მოვლენას ექნება ადგილი, მაგალითად ადამიანი გახდება ავად ან გარდაიცვლება გარკვეული დროის შემდეგ ან გარკვეულ ასაკში. გარდა ამისა, არატექნიკური ტერმინი მოიცავს არასასურველი შედეგის სხვადასხვა ზომების გატარების შესაძლებლობას (Last., 1988). რისკი არ უნდა აგვერიოს ტერმინში „საფრთხე“.	<b>Risk:</b> The probability that an event will occur, e.g., that an individual will become ill or die within a stated period of time or age. Also, a nontechnical term encompassing a variety of measures of the probability of a (generally) unfavourable outcome (Last, 1988). Risk should not be confused with the term "hazard".
257.	<b>რისკის მართვის პროცესი:</b> გლობალური ტერმინი, რომელიც მოიცავს მოქმედებებს საფრთხის იდენტიფიცირებიდან რისკის მართვის ჩათვლით	<b>Risk management process:</b> A global term for the whole activity from hazard identification to risk

	(WHO, 1988).	management (WHO, 1988).
258.	<b>რისკის დასაბუთება:</b> მოცემულ გარემოში ნივთიერების დოზა-ეფექტისა და დოზა- პასუხის დამოკიდებულების გამოთვლა, რომელიც გვიჩვენებს ნივთიერების ჯანმრთელობაზე ზეგავლენის შესაძლებლობასა და ბუნებას (WHO, 1988).	<b>Risk estimation:</b> The quantification of dose-effect and dose-response relationships for a given environmental agent, showing the probability and nature of the health effects of exposure to the agent (WHO, 1988).
259.	<b>რისკის დახასიათება:</b> ჯანმრთელობისა და გარემოსათვის საშიში ფაქტორის (მაგ.: ქიმიური ნაერთი) სპეციფიკურ გამოყენებასთან, ან არსებობასთან დაკავშირებული საშიშროების იდენტიფიცირების და რისკის შეფასების შედეგი. შეფასება მოითხოვს სპეციფიკურ სიტუაციაში ადამიანზე ზემოქმედების რაოდენობრივ მონაცემებს. საბოლოო დასკვნა არის სამიზნე პოპულაციაში დაზარალებული ადამიანების შესახებ რაოდენობრივი მონაცემები (WHO, 1988).	<b>Risk characterization:</b> The outcome of hazards identification and risk estimation applied to a specific use or occurrence of an environmental health hazard (e.g., a chemical compound). The assessment requires quantitative data on the human exposure in the specific situation. The end product is a quantitative statement about the proportion of affected people in a target population (WHO, 1988).
260.	<b>რისკის დონის დადგენა:</b> რისკსა და სარგებლს შორის ხარისხობრივი ან რაოდენობრივი ურთიერთდამოკიდებულების დადგენა. საფრთხის იდენტიფიცირების, დახასიათებისა და ზეგავლენის შეფასების საფუძველზე მონაცემთა რაოდენობრივი ან/და ხარისხობრივი მნიშვნელობის განსაზღვრის კომპლექსური პროცესი	<b>Risk evaluation:</b> Risk evaluation involves the establishment of qualitative or quantitative relationship between risks and benefits, involving the complex process of determining the significance of identified hazards and estimated risks to those organisms or people concerned with or affected by them.
261.	<b>რისკის მართვა:</b> მართვის, გადანყვეტილების მიღებისა და კონტროლის პროცესი გარემოს იმ ფაქტორებისაგან დასაცავად, რის მიმართაც გამოვლინდა ძალიან მაღალი რისკი (WHO, 1988).	<b>Risk management:</b> The managerial, decision-making and control process to deal with those environmental agents for which risk evaluation has indicated that the risk is too high (WHO, 1988).
262.	<b>რისკის მარკერი (სინონიმი: რისკის ინდიკატორი):</b> ატრიბუტი, რომელიც უკავშირდება დაავადების ან სხვა განსაზღვრული შედეგის გამოვლენის შესაძლებლობის ზრდას და რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს, როგორც ამ გაზრდილი რისკის ინდიკატორი (Last., 1988).	<b>Risk marker (synonym: risk indicator):</b> An attribute that is associated with an increased probability of occurrence of a disease or other specified outcome and that can be used as an indicator of this increased risk (Last, 1988).
263.	<b>რისკის მონიტორინგი:</b> რისკის მართვაში გადანყვეტილების მიღების და მოქმედების მომდევნო პროცესი ექსპოზიციის და რისკის შეცირების შესამოწმებლად (WHO, 1988).	<b>Risk monitoring:</b> The process of following up decisions and actions within risk management in order to check whether the aims of reduced exposure and risk are achieved (WHO, 1988).
264.	<b>რისკის ქვეშ მყოფი პოპულაცია:</b> რისკ- ფაქტორის ზემოქმედებისაგან პოტენციურად დაუცველი ადამიანთა რაოდენობა, რომელსაც შეიძლება დაუზიანდეს ჯანმრთელობა. მაგალითად, ყველა ადამიანი პოპულაციაში, რომელსაც არ აქვს გამომუშავებული იმუნიტეტი ინფექციური დაავადებების მიმართ ზემოქმედების შემთხვევაში	<b>Population at risk:</b> The number of people who can develop the adverse health effect under study and who are potentially exposed to the risk factor of interest. For example, all people in a population who have not developed immunity to an infectious disease are at risk of developing the disease, if they are exposed.



	არის დაავადების განვითარების რისკის ქვეშ. ანალოგიურად, ქრონიკული დაავადების მქონე პირები, დაავადების შემთხვევების კვლევისას გამოირიცხება რისკის ჯგუფიდან (WHO, 1979).	Similarly, people already having chronic disease are excluded from the population at risk in studies of the incidence of the disease (WHO, 1979).
265.	<b>რისკის შეფასება:</b> მეცნიერულად დასაბუთებული პროცესი, რომელიც მოიცავს 4 საფეხურს: 1. საფრთხის იდენტიფიცირება; 2. საფრთხის დახასიათება ან დოზა-პასუხის აღწერა; 3. ექსპოზიციის შეფასება; 4. რისკის დახასიათება.	<b>Risk assessment:</b> The scientifically grounded process involving 4 stages: 1. Hazard Identification; 2. Hazard Evaluation or Dose-Response Assessment; 3. Exposure Assessment; 4. Risk Characterization
266.	<b>როდენტიციდი:</b> მღრღნელების (ვირთაგვების) სანინააღმდეგო ქიმიკატი.	<b>Rodenticide:</b> A chemical used to kill rodents (rats).
267.	<b>საჯაჭრო სახელწოდება:</b> არის ვაჭრობაში, რეგულაციებში და კოდექსებში ნივთიერების ან ნაერთის ზოგადად გამოყენებული საიდენტიფიკაციო სახელწოდება, განსხვავებული IUPAC ან CAS-ის სახელწოდებისაგან და რომელიც აღიარებულია სამეცნიერო საზოგადოების მიერ.	<b>Technical name:</b> means a name that is generally used in commerce, regulations and codes to identify a substance or mixture, other than the IUPAC or CAS name, and that is recognized by the scientific community.
268.	<b>საზოგადოებრივ ჯანმრთელობაზე მოქმედების შეფასება:</b> კონკრეტულ სამიზნე პოპულაციაში რისკის შეფასების პროცედურის გამოყენება. ცნობილი უნდა იყოს მოსახლეობის რაოდენობა. საბოლოო შედეგია სპეციფიკურ მიზნობრივ პოპულაციაში დაზარალებულთა რაოდენობის შესახებ რაოდენობრივი მტკიცებულება (WHO, 1988).	<b>Public health impact assessment:</b> Application of risk assessment procedures to a specific target population. The size of the populations needs to be known. The end product is a quantitative statement about the number of people affected in the specific target populations (WHO, 1988).
269.	<b>საზომი ერთეულები:</b> SI სისტემის ძირითადი ერთეულებია: მეტრი (მ), კილოგრამი (კგ), წამი (წ), ამპერი (ა), კელვინი (კლ), კანდელა (კნ) და მოლი (მოლი) (BIPM, 1979).	<b>Units of measurement:</b> The base units of the SI system are: metre (m), kilogram (kg), second (s), ampere (A), kelvin (K), candela (cd), and mole (mol) (BIPM, 1979).
270.	<b>საკვები პროდუქტების მოხმარების ტაბულური მეთოდი:</b> ინდივიდების დიდი რაოდენობისათვის საკვების მოხმარების შეფასების მეთოდი. მეთოდის სიზუსტე ძირითადად დამოკიდებულია საკვები პროდუქტების მიღების სწორად გაანგარიშებულ ჩანაწერზე და კვებითი ღირებულების ტაბულების სიზუსტეზე, სადაც დაკონკრეტებულია სხვადასხვა ნუტრიენტის, ვიტამინის, ესენციალური და არაესენციალური ნივთიერების, მათ შორის პესტიციდების ნარჩენი რაოდენობის კონცენტრაცია საკვებში. თითოეული ჩანაწერისათვის დროის გარკვეულ პერიოდში მოხმარებული საკვების რაოდენობა გამოითვლება საკვებში ნუტრიენტებისა და სხვა ნივთიერებების კონცენტრაციების (კვებითი ღირებულების ცხრილიდან) გამრავლებით მოხმარებული საკვების რაოდენობაზე და გაყოფით დაკვირვების დროზე (WHO, 1979).	<b>Utritional table method:</b> A method of evaluating the dietary intake of a large number of people. The accuracy of the method largely depends on the accuracy with which records of the food consumption can be established and the accuracy of the nutritional tables specifying the concentration of various nutrients, vitamins, and essential and non-essential substances including pesticide residues. For each record of quantity of food consumed during a certain time period, the daily intake of the substance in question is calculated by multiplying the substance concentration in the food item (as obtained from the nutritional table) by the quantity of food consumed and dividing by the time of observation (WHO, 1979).
271.	<b>საკონტროლო ღონისძიება:</b> ქიმიკატის გამოყენების აკრძალვის ან მკაცრი შეზღუდვის ღონისძიება	<b>Control measure:</b> measure for ban or severely restricting the use of chemicals.

272.	<b>სამიზნე (ბიოლოგიური):</b> ნებისმიერი ორგანიზმი, ორგანო, ქსოვილი ან უჯრედი, რამედაც მოქმედებს დამაბინძურებელი ან სხვა ქიმიკატი, ფიზიკური ან ბიოლოგიური ფაქტორი (WHO, 1979).	<b>Target (biological):</b> Any organism, organ, tissue, or cell that is subject to the action of a pollutant or other chemical, physical, or biological agent (WHO, 1979).
273.	<b>სამიზნე (გარემოს დაბინძურება):</b> ადამიანი ან ნებისმიერი ორგანიზმი, ორგანო, ქსოვილი, უჯრედი, რესურსი ან გარემოს ნებისმიერი შემადგენელი ცოცხალი ან არაცოცხალი, რომელიც არის დამაბინძურებლის ან ქიმიკატის ან სხვა ფაქტორის ფიზიკური აქტივობის ზემოქმედების საგანი (WHO, 1979).	<b>Target (of environmental pollution):</b> A human being or any organism, organ, tissue, cell, resource, or any constituent of the environment, living or not, that is subject to the activity of a pollutant or other chemical or physical activity or other agent (WHO, 1979).
274.	<b>სამიზნე ორგანო(ები):</b> ორგანო(ები), რომლებშიც ტოქსიკური დაზიანება ვლინდება დისფუნქციით ან აშკარა დაავადებით (WHO, 1979).	<b>Target organ(s):</b> Organ(s) in which the toxic injury manifests itself in terms of dysfunction or overt disease (WHO, 1979).
275.	<b>სამიზნე პოპულაცია:</b> (i) პირების, ნივთების, გაზომვების და ა.შ. ერთობლიობა, რის მიმართაც გვინდა დასკვნების გაკეთება. ტერმინი ზოგჯერ გამოიყენება იმ პოპულაციის განსასაზღვრად, საიდანაც არის აღებული ნიმუში, და ზოგჯერ იმ „რეფერენს“ პოპულაციის აღსანიშნავად, რომელსაც ეხება დასკვნები; (ii) ადამიანების ჯგუფი, რომელშიც ჩარევაა დაგეგმილი (Last, 1988).	<b>Target population:</b> (i) The collection of individuals, items, measurements, etc., about which we want to make inferences. The term is sometimes used to indicate the population from which a sample is drawn and sometimes to denote any „reference“ population about which inferences are required; (ii) The group of persons for whom an intervention is planned (Last, 1988).
276.	<b>სამოქმედო დონე:</b> (ა) დამაბინძურების ისეთი დონე, რომელიც საჭიროებს გადაუდებელი მოქმედებების ჩატარებას, როგორცაა დაბინძურებული მასალის აღება და განადგურება, ადგილობრივი მოსახლეობის ევაკუაცია ან დაბინძურების წყაროების დახურვა, (UN, 1972); (ბ) დონე, რომელიც საჭიროებს გარკვეული პრევენციული ღონისძიებების (არ არის აუცილებელი გადაუდებელი ხასიათის) ჩატარებას; კომპეტენტური ორგანოს მიერ სამუშაო ზონის ჰაერში მომუშავეებზე ნივთიერების მოქმედების დონის დადგენა; იგი გაცილებით დაბალია ექსპოზიციის ზღურბლოვან დონეზე და არ საჭიროებს პრევენციული ზომების გატარებას, განსაკუთრებით ისეთ სამედიცინო ჩარევას, რომელსაც ითვალისწინებს გადაჭარბებული ექსპოზიციის დონე. ეს დონე, როგორც წესი, მდებარეობს ექსპოზიციის ზღურბლოვანი დონის მესამედსა და ნახევარს შორის (ILO, 1977).	<b>Action level:</b> (i) The level of a pollutant at which specified emergency countermeasures, such as the seizure and destruction of contaminated materials, evacuation of the local population or closing down the sources of pollution, are to be taken (UN, 1972); (ii) the level at which some kind of preventive action (not necessarily of an emergency nature) is to be taken; a level of exposure of workers to airborne harmful substances in workrooms to be determined by the competent authority; it is distinctly below the exposure limit and consequently such exposures below the action level do not usually necessitate application of all the preventive measures, especially of a medical nature, foreseen for exposures exceeding the action level. This level may lie between a third and a half of the exposure limit (ILO, 1977).
277.	<b>სამუშაო გარემო:</b> სამუშაო ადგილის გარემო (WHO, 1979).	<b>Occupational environment:</b> The environment at a work place (WHO, 1979).
278.	<b>სარწმუნოების ინტერვალი:</b> უცნობი პოპულაციური პარამეტრის მნიშვნელობათა დიაპაზონი, რომელიც განსაზღვრული „სარწმუნოობით“ (ჩვეულებრივ 95%) მოიცავს ჭეშმარიტ მნიშვნელობას. მნიშვნელობის „სარწმუნოობა“ გულისხმობს, რომ თუ ინტერვალის	<b>Confidence interval:</b> A range of values for an unknown population parameter with a stated ‘confidence’ (conventionally 95%) that it contains the true value. The interval is calculated from sample data, and generally straddles the sample estimate. The

	გამოსათვლელად გამოყენებული მეთოდი მრავალჯერ განმეორდება, მაშინ ინტერვალების ეს პროპორცია რეალურად მოიცავს ჭეშმარიტ მნიშვნელობას.	'confidence' value means that if the method used to calculate the interval is repeated many times, then that proportion of intervals will actually contain the true value.
279.	<b>სასიგნალო სიტყვა:</b> სიტყვა, რომელიც ახასიათებს საშიშროების ხარისხს და აფრთხილებს ეტიკეტის მკითხველს პოტენციურ საშიშროებაზე. GHS იყენებს სასიგნალო სიტყვას "საშიშია!" და „ფრთხილად“.	<b>Signal word:</b> means a word used to indicate the relative level of severity of hazard and alert the reader to a potential hazard on the label. The GHS uses 'Danger' and 'Warning' as signal words.
280.	<b>საშიშროება:</b> გარდაუვალი საფრთხე ან რისკი, მიუხედავად იმისა, რომ იგი ხშირად პროგნოზირდება.	<b>Hazard:</b> an unavoidable danger or risk, even though often foreseeable
281.	<b>საშიშროების იდენტიფიკაცია და კლასიფიკაცია:</b> საშიშროების იდენტიფიკაცია არის პროცესი, რომლის საშუალებითაც ნივთიერების ან ნარევის თვისებების შესახებ ინფორმაციის შეფასებით ხდება მის მიერ მიყენებული პოტენციური დაზიანების განსაზღვრა. თუ იდენტიფიცირებული საშიშროების ტიპი და სიმძიმე შეესაბამება CLP რეგულაციის I დანართის კრიტერიუმებს, ნივთიერებას ან ნარევს მიენიჭება საშიშროების გარკვეული კლასი. არსებობს საშიშროების კლასები ფიზიკურ-ქიმიური, ჯანმრთელობისა და ეკოლოგიური რისკების მიხედვით.	<b>Hazard identification and classification:</b> Hazard identification is the process by which information about the intrinsic properties of a substance or mixture is assessed to determine its potential to cause harm. If the nature and severity of an identified hazard meets the classification criteria in Annex I to the CLP Regulation, a certain hazard class will be assigned to the substance or mixture. There are hazard classes for physical hazards, health hazards, and environmental hazards.
282.	<b>საშიშროების კატეგორია:</b> არის საშიშროების თითოეულ კლასის კრიტერიული ქვედანაყოფი. საშიშროების კატეგორია განსაზღვრავს საშიშროების ხარისხს ერთი რომელიმე კლასის ფარგლებში და არა ქიმიკატის საშიშროების ხარისხს ზოგადად.  მაგალითად, მწვავე ტოქსიკურობის კლასი მოიცავს საშიშროების 5 კატეგორიას, თვითაალებადი სითხეების კლასი კი - საშიშროების ოთხ კატეგორიას.	<b>Hazard category:</b> means the division of criteria within each hazard class. These categories compare hazard severity within a hazard class and should not be taken as a comparison of hazard categories more generally. e.g., oral acute toxicity includes five hazard categories and flammable liquids includes four hazard categories.
283.	<b>საშიშროების კლასი:</b> აღნიშნავს ფიზიკური, ჯანმრთელობისა და გარემოს საშიშროების ტიპს. მაგალითად, აალებადი მყარი ნივთიერება, კანცეროგენი, მწვავე პერორალური ტოქსიკურობა.	<b>Hazard class:</b> means the nature of the physical, health or environmental hazard, e.g., flammable solid, carcinogen, oral acute toxicity.
284.	<b>საშიშროების სიმბოლო:</b> ამჟამინდელი კლასიფიკაციისა და ეტიკეტირების დებულების მიხედვით საშიშროების სიმბოლოებია პიქტოგრამები, რომლებიც განთავსებული არიან საშიშ ნივთიერებებისა და პრეპარატების შეფუთვაზე.	<b>Danger symbols:</b> According to current classification and labelling provisions danger symbols are pictograms which are placed on the package of dangerous substances and preparations.
285.	<b>საშუალო ლეტალური დოზა, DL<sub>50</sub>:</b> ტოქსიკური ნივთიერების დოზა, რომელიც ინვესს ექსპერიმენტული ცხოველების 50 %-ის სიკვდილს.	<b>Median lethal dose:</b> The dose of toxicant necessary to kill 50 percent of the organisms being tested.

286.	<b>საშუალო ლეტალური კონცენტრაცია, CL<sub>50</sub>:</b> ტოქსიკური ნივთიერების კონცენტრაცია, რომელიც იწვევს ექსპერიმენტული ცხოველების 50 %-ის სიკვდილს.	<b>Median lethal concentration:</b> The concentration of toxicant necessary to kill 50 percent of the organisms being tested.
287.	<b>სახელმწიფო კატალოგი:</b> საქართველოს ტერიტორიაზე გამოსაყენებლად ნებადართული პესტიციდებისა და აგროქიმიკატების ჩამონათვალი.	<b>State directory:</b> list of pesticides and agrochemicals allowed to use at the territory of Georgia.
288.	<b>სენსიბილიზაცია:</b> ეს ტერმინი გამოიყენება, ისეთი ნივთიერების (ალერგენის) მიმართ, რომლის მოქმედება გამოიწვევს საპასუხო რეაქციას იმუნურ სისტემაში, ისე, რომ იმავე ნივთიერების შემდგომი ზემოქმედებისას გამოვლინდება დაავადების ანალოგიური სიმპტომები.	<b>Sensitization:</b> This term is applied to the exposure to a substance (allergen) which provokes a response in the immune system such that disease symptoms will ensue on subsequent encounters with the same substance.
289.	<b>სიზუსტე:</b> (i) მოცემულ პირობებში მრავალჯერ განმეორებული ექსპერიმენტული პროცედურების შედეგებს შორის თანხვედრა (ISO, 1981); (ii) გაზომილი ატრიბუტის, ან გაზომვის საფუძვლზე მიღებული შეფასების ჭეშმარიტი მნიშვნელობის ხარისხი (Last, 1988).	<b>Accuracy:</b> (i) The closeness of agreement between the "true" value and the measured values (ISO, 1981); (ii) the degree to which a measurement, or an estimate based on measurements, represents the true value of the attribute that is being measured (Last, 1988).
